ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი:

I—ბავშვის სიმღერა,—ლექსი, მიმქრალისა 3

II—ციცო,—ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი 4

III—ტოროლა,—(ლეგენდა) თარგმანი კარბელაშვილისა 27

IV—დიდების მაძიებელი,—ედო შანშიაშვილისა 35

V—ლევ ტოლსტოის გარდაცვალებაზე,—(ლექსი), ვაჟა-ფშაველასი 38

VI—ლევ ტოლსტოი,—ნინო ნაკაშიძისა 40

VII—ქვის გაჩენა,—ს. ბერთენაშვილისა 45

VIII—სინათლე და მისი მნიშვნელობა,—ი. მოსეშვილისა . . 52

IX—მითოლოგია,—ტროადის ომი,—ბრძოლის განახლება, ალ. მიქაბერიძისა 59

X—ნარევი:—ა) შარადა, ვ. კ—ისა,—ბ) რებუსი და აღსნა . . 64

[illegible]

ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი

წელიწადი მეექვსე

ნოემბერი, 1910 წ.



ლევ ტოლსტოი

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი:

I—ბავშვის სიმღერა,—ლექსი, მიმქრალისა 3

II—ციცო,—(მოთხრობა) ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი . . . 4

III—ტოროლა,—(ლეგენდა) თარგმანი კარბელაშვილისა 27

IV—დიდების მაძიებელი,—(შემდეგი) ელო შანშიაშვილისა. . . 35

V—ლევ ტოლსტოის გარდაცვალებაზე,—(ლექსი), ვაჟა-
ფშაველასი 38

VI—ლევ ტოლსტოი,—ნინო ნაკაშიძისა 40

VII—ქვის გაჩენა,—ს. ბართენაშვილისა 45

VIII—სინათლე და მისი მნიშვნელობა,—ი. მოსეშვილისა . . . 52

IX—მითოლოგია,—ტროადას ომი, – ბრძოლის განახლება,
ალ. მიქაბერიძისა 59

X—ნარევი:—ა) შარადა, ვ. კ—ისა, —ბ)—რებუსი და აღსნა. 64

ეროვნული
ბიბლიოთეკა

297

ბავშვის სიმღერა.

ია, ია, ია,
ველი, ტურფად მოქარგული.
ოჰ, ნაზია,
ლამაზია
ნარ-ნარ ყვავილთ თაიგული!

**

მწვანე ველზე მიყვარს რბენა;
იქ პეპელამ იცის ფრენა;
როს ვიჭერ მათ
ხტუნვით, ლაღათ,
ფრთას შლის გულის ალმა-ფრენა.

**

მიყვარს მდელო, ბურთი, ლელო,
მწვანე მოლი უნდა ვქელო;
ეჰ, სადა ხარ,
რად გამქრალხარ,
გაზაფხულო საყვარელო!

**

ალარ ყვავის, ვხედავ, ია,
მჭკნარ ვარდს თავი დაუხრია,
ჰქროლავს ქარი,
შესაზარი,
გული ფიქრებს წაულია.

მიმქრალი



ციცო.

(მოთხრობა)

I

ივი, სულ-შემხუთავი ქარი სუდარა-მოსხმულ მინდვრებს უწყალოდ დაჰკვნესოდა, თავ-გადაკლული ეძებდა დასასვენებელ კუთხეს, იერიში მიჰქონდა შენობის კარ-სარკმლებზე, მედგრად ეხეთქებოდა, რათა შეენგრია კედლები და შიგ შეჭრილიყო, მაგრამ ამაოდ.

აგიზგიზებული ბუხარი წინ უდგებოდა, ყუჩს უტეხავდა, უნუგეშოდ შთენილს უკან აგდებდა. ცეცხლის ნაპერწკლები თვალის მომჭრელ ზოლად ადიოდა საკვამლეში; მათი მკრთალი ნათელი ცხოველდებოდა ლამპრის შუქზე, მიმზიდველად აჩენდა ყოველსავე არსსა.

ოთახში იდგა გრძელი ტახტი; ზედ მოეკეცა მოხუცებულ დიდედას, ფუნთუშა ხელებით აბზრიალებდა თითისტარს, რომელზედაც სრიალით ეხვეოდა ყვითელი აბრეშუმის ძაფი, მის მსუქან თეთრ სახეს ჯილად დასდგომოდა პრტყელი ძველებური ჩიხტი, ღაწვებზე დაკონებული კავები დანდობოდა ნიკაპ ქვეშ ამოტარებულ ჰაეროვან ლეჩაქის ყურსა. წარბებ ქვეშიდან იყურებოდნენ ფართე, წაბლისფერი ხშირ წამწმიანი თვალები, რომელნიც ამ ჟამად ჰხატავდნენ გაოცებას. აქა-იქ სახე დაღაროდა ცხოვრების საგრძნობ წუთებისგან, ბეჭებიც მოხრილიყო.

მოხუცებულმა დაუსვა ხელი ძაფს, ნასკვები დაუსწორა, მოხედა იქვე მოკეცილ პატარა ცხრა წლის გოგონას, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელსაც ლამპარი ახლო დაედგა, მუხლებზე გადაეშალა ძო-ზრდილი წიგნი და გულმოდგინებით ჩასცეცებოდა.

— აბა, ციცო, მერე რა იყო, შვილო?—უთხრა დიდედამ.

გაიგონა თუ არა ეს ბავშვმა, კმაყოფილებით გაიღიმა და ოთახში ნაკადულივით იწყო ჩქერა უმანკო ხმაზე რაინდულმა სიტყვებმა.

რა არ ისმოდა აქ! ყარამანის ვაჟკაცობა, გარდანქეშანის სიმარდე, სარვიხურამანის მშვენიერება და ქებათა ქება, მდევების ვერაგობა, ფარმან ბარყუშის ერთგულობა და ფერიათა ფრიალი ცაში. ყველაზე მეტად ციცოს იტაცებდნენ ეს ფერიანი; თავს მათთან ერთადა გრძნობდა; გრძნობა-მორეული დრო და დრო შესწყვეტდა კითხვას, სულს მოითქვამდა, დაკვირვებით მიაჩერდებოდა დიდედას, ალმაცერად გახედავდა თითიკას, რომელიც ბუხართან ჩაცუცქულიყო, ნიკაპზე თითი მიებჯინა და ისე შესცეცებოდა ბავშვს პირში, რომ არც ერთი სიტყვა არ დასცდენოდა. მარტო ხანდისხან, როდესაც ყარამანის გასაშტერებელი მოქმედება მოთმინებას დაუკარგავდა, შესძახებდა:

— ჰო, ჰო, ჰო, რა ყოფილა ი დალოცვილი, ნეტაი თუ მართალია, ქალბატონო?

— ვაჟკაცობა მართალი უნდა იყოს, ჩემო თითიკა, თუმცა ზოგ-ზოგი-კი გადამეტებულია!—უპასუხებდა ღიმილით ქეთევანი, რომელსაც თითქო სჯეროდა, მაგრამ თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა გამოტეხილიყო და თითიკასთან მაინც ეჭვს აცხადებდა.

— ყველაფერი მართალია, თითიკა!—შესძახებდა აღტაცებული ციცო და კვლავ განაგრძობდა კითხვას.

აგერა ყარამანმა ერთხელ კიდევ მარჯვენა ხელი მარცხნივ შემოივლო, მარცხენა მარჯვნივ, ერთი საშინელი შესძახა და უსულოდ ქცეულ მდევებისაგან თავისი ჯარი იხსნა. ციცომ დაკეცა წიგნი; ლოყები გასწითლებოდა, თვალები ცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხლებს აბნევდნენ. ქეთევანმა კმაყოფილებით შეაბზრიალა თი-
თისტარი, თითიკამ წამოიწია, ანგარიშ-მიუცემლად დაიბერ-
ტყა კალთა, თითქო მოიშორა თავისი უძლურებაო... ბუხარ-
ში შეშამ გაიტკაცუნა, გარედან ქარმაც შემოჰკივლ-შემოი-
კვნესა... ოთახში ყოველივეს თავს დასთამაშებდა გამარჯვე-
ბა, კმაყოფილება!

— თითიკა, ლოგინი გაშალე! ახლა-კი ძილის დროა! —
მოუბრუნდა ქეთევანი დედაკაცს და დაუწყო ხელსაქმეს ლა-
გება. ციცომაც წიგნი დასდო მაგიდაზე, მიუჯდა ცეცხლს,
ზარმაცად თვალი გააყოლა თითიკას ყოველ მოძრაობას.

თითიკამ დააგო ლოგინი ტახტზე, თავისთვისაც იქვე
ბუხრის ახლო კუთხეში გაიშალა.

ციცომ ლოცვანი მოუტანა დიდედას, თვითონაც გულ-
ხელი დაიკრიფა და დაიწყო ხატის წინ ლოცვა.

რამდენსამე წამს შემდეგ საბანში გახვეულმა ციცომ მა-
ლე დაიძინა. ქეთევანი კი ლოგინში ტრიალებდა, ეტყობოდა
ფიქრები არ ასვენებდნენ; თითიკას თავზე საბანი წაეფარებინა
და ჩუმად ბურნუთის კოლოფსა ხდიდა, რომ ძილის წინ ერ-
თი კიდევ მოეწია, მაგრამ ხელი დაუცდა და თავსახურავი გა-
წკრიალდა.

— გაოხრება შენი, აჰანდე, რაღასაც ჩხიკინებ! — წაიბურ-
ტყუნა გაგულისებულმა თითიკამ, საბან ქვეშიდან ხელი გა-
მოყო და სახურავი მიითრია; დაიკმაყოფილა თუ არა სურ-
ვილი, ამანაც მაშინვე ხვრინვა ამოუშვა. ქეთევანს კი არ ეძი-
ნა, ფიქრობდა, ხვალ როგორ გაეგზავნა სოლო ცხენებით სა-
დგურზე პავლეს მოსაყვანად. გულში ჯავრათ ჩასჭროდა დღე-
ვანდელი კორიანტელი და ღმერთსა სთხოვდა, ხვალ მაინც
კაი დღე გამოსულიყო, სანამ ამისი მეუღლე სახლამდის მოაღ-
წევდა. ქეთევანი ფიქრებისაგან მოიქანცა და ძილმა თავი
წაართვა. ბუხარში ნაკვერჩხლებმა ფერფლი გადიკრა, მაგრამ
საკმაო სითბო მაინც კიდევ გამოდიოდა ოთახისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

მეორე დღეს ლაჟვარდი ცა ღიმილით დაჰყურებდა დედამიწას, რომელზედაც თოვლი ათასფერად ენთებოდა.

სარკმელში შემოსულმა მზის სხივმა გაავსო ოთახი სინათლით, ციცოს ძილი გაუკრთო, წამოიწია ზეზე და გაიღიმა.

— კიდევ თოვს, დიდედა?—იკითხა თვალების ფშვნეტით.

— არა, შვილო, შეხე, რა კარგი დღე მოდის!—უპასუხა და გასწია სარკმელზე ჩამოფარებული თეთრი მიტკლის ფარდა.

სარკმელს გარედან ხელის სისქედ გარშემო რკლად შემოხვეოდა თოვლის ფიფქი. აივნიდან ბეღურეების ჟივილ-ხივილი მოისმოდა. ბავშვს მოეწონა დილა და იწყო საჩქაროდ ჩაცმა. დიდედა კი დიდი ხანია თავის ლოგინშივე კითხულობდა დაუჯდომელს. თითიკა ოთახში ფუსფუსებდა, იქაობას ალაგებდა.

მალე სოლომაც ამოარბეინა აქაფქაფებული სამოვარი და ჭიქებს დაუწყო წკარუნი. ქეთევანმა და ციცომ დალიეს ჩაი; შემდეგ ქეთევანმა განკარგულება მისცა, რომ დღეს ადრე გაეკეთებინა სადილი და შემდეგ ცხენები წაეყვანა სადგურზე, რადგან ბატონი უნდა მოსულიყო. სოლო გაჩუმებული უსმენდა ბრძანებას.

დიდედა ჩაუჯდა ხელ-საქმეს, ციცოს კი გული აღარ გაუჩერდა ოთახში და კარზე გამოხტა, თუმცა დიდედა უკანიდან მოსძახდა,—შინ დაბრუნებულიყო.

სახლს გრძელი აივანი ჰქონდა, მთელ სოფელს გადაჰყურებდა. ციცო გადაეყუდა მოაჯირს და დაუწყო თოვლით შელესილ სახლებს ყურება.

აგერა სოლომ თავლიდან გამოიყვანა ორი ცხენი, შეკაზმა, ერთს ზურგზე მოახტა, მეორე ხელში გამოიმარყუშა და გასწია. თითიკა კი სამზარეულოში დარჩა, შეუდგა სადილის მზადებას. ციცო განაგრძობდა ყურებას, რადგან აივნის ქვევით ჩასვლა აღარ ღირდა თოვლისა და სიცივის გამო. მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლე ისევ შემოვიდა ოთახში, აიღო დედოფლები, მიუდგა ტახ-
ტის ბოლოს და იწყო თავის შექცევა.

— დილამშვიდობისათ!—მოისმა ამ დროს მოკრძალებუ-
ლი სალამი და კარებში გამოჩნდა შავებით მოსილი, მაღალი,
შუა ხნის ქალი, რომელსაც წინ მოუძღოდა პატარა გოგო.

— ოჰ, ანანო, მობრძანდი! როგორ აგრე გვიან-გვიან
დაგვხედავ ხოლმე?—უთხრა ღიმილით ქეთევანმა სტუმარს.
ეტყობოდა, მოსწყენოდა მარტოდ ყოფნა და, რა დაინახა
ანანო, იამა ხმის გამცემი. ანანო მივიდა ცეცხლთან, ბუხარს
ხელები მიუფიცხა და დაიწყო თითების ფშვნეტა, პატარა კა-
ტო კი მაშინვე მიტრიალდა ციცოსკენ, რომელმაც აგრედვე
გაუღიმა.

ბავშვები მალე გაერთვნენ დედოფლების ფერაობაში.
ანანომაც დაიხადა ფლოსტები ტახტის წინ, ავიდა ზემოდ
და ქეთევანთან ცოტა მოშორებით მოიკეცა.

— ღმერთმა გიშველოს, რომ მოხვედი! გული გაილია ზამ-
თრისგან, ახალს რას იტყვი?—წარმოსთქვა ქეთევანმა და შეაბ-
ზრიალა თითისტარი.

— თქვენ რომ მაგასა ბრძანებთ, გენაცვალეთ, მე რაღა
უნდა ვთქვა! ჩემს ჰდეულში რომ შემოგეხედათ, სწორედ შე-
მიბრალებდით. კიწაწი შეშა არ გაგვაჩნდა. ორივ დედაშვი-
ლი ჩავწვებოდით ლოგინში და ერთმანეთს ისე ვათბობდით.
ლოგინში ყოფნა რომ მოგვწყინდებოდა, რომელსამე მეზო-
ბელს მივაშურებდით.

— მაშ, აქ რატომ არ მოდიხართ? მეც ხომ მარტოდა ვარ! არა
სჯობიან, ერთად ვიყოთ?—უთხრა თანაგრძნობით ქეთევანმა.

— უი, გენაცვალეთ, როგორ უნდა შეგაწუხოთ? თავი
ხომ მოგაბეზრეთ! ისეც თქვენს წყალობას ნახევარსაც არა
ვღირვარ. დიდი მადლობელი გახლავარ, გუშინ რომ ერთი
ურემი შეშა გამოგეგზავნათ. ძლივს ძვლები გავითბეთ. ოჰი,
ისემც გაგახაროს შენის ქმრით და შვილიშვილით ღმერთმა,
როგორც მე გამახარე!—დაუმატა ანანომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სოფელიც ღმერთმა ააშენოს, ისიც ხელს მიმართავს, ცოდოს ვერ ვიტყვი, მაგრამ მაინც მეტი დრო უცეცხლოთა ვყრივართ ხოლმე, — განაგრძო მან, წინ გაიშალა ბოხჩა, რომელიც გადმოუდო ქეთევანმა, აარჩია საკერავები და გულმოდგინედ შეუდგა საქმეს.

III

შუა დღემ გადაიწია, ქეთევანი მალ-მალ გადაიხედავდა ხოლმე სარკმელში, რათა დაენახა ეზოში ცხენები, მაგრამ ჯერ არსადა სჩანდნენ. მოლოდინსაც ბოლო მოელო. მოისმა ხვიხვინი.

ციცომ მსწრაფლ ხელი აუშვა დედოფლებს, წამოვარდა და გავიდა კარზე. ქეთევანს სახეზე აღელვება დაეტყო, მარტო ანანო წინანდელზე უფრო აიზუზა და წარბებ აფრეზილი, გალურსული ჰკერავდა, ოთახში შემოვიდა წელში ცოტა მოხრილი, მაგრამ მაინც კიდევ ვაჟკაცურად გამომყურე თავადი პავლე; შეფუთვნილი იყო ბეწვ-დადებულ ქურქში და თავ-პირი ყაბალახით ჰქონდა შეხვეული, თვალებზე ლურჯი სათვალეები გაეკეთებინა.

— მოხვედი? ეგ სათვალეები რაღაა?. — დაუმატა შეშფოთებით ქეთევანმა და ტახტიდან ძირს ჩამოვიდა.

— ექიმმა მომცა. — უპასუხა პავლემ და ყველას ხელი ჩამოართვა

— თვალები როგორ გაქვს?

— ისევ ისე, როგორცა მქონდა. ხანდისხან მტკივა. ექიმმა მითხრა, დიდი გაფრთხილება გინდაო, ნურც სანთელზე წაიკითხავ, ნურც მაგარ სასმელებს დალევ და გაგივლისო. სხვა როგორა ხართ?. — დაუმატა პავლემ და დაიწყო ქურქის ხდა.

— ვართ ასე, როგორცა გვხედავ. — უპასუხა წყნარად ცოლმა.

კატო დედას მიეკრო და ალმაცერად გამოჰყურებდა, თუ სოლო როგორ ალაგებდა ხურჯინიდან სხვა და სხვა ნივ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებს. აგერა ამოიღო ორი წყვილი დოში, ზურგიერი ჩაი-
შაქარი, მას თან მოჰყვა პატარა ქალალდში შეხვეული რალაც.

— ეგ ციცოს ფეხსაცმელებია, აბა, გოგონი, გასინჯე, როგორ მოგივა,— წარმოსთქვა პავლემ და ქალალდიდან გამოსხნა ! ხვა და სხვა ფერის ძაფებით მოქარგული ფეხსაცმელები. ციცოს სახე აენთო აღტაცებისაგან, უცბად გამოსტაცა ფეხსაცმელები და გაიქცა მეორე ოთახში ჩასაცმელად, თან გული უძიგძიგებდა, ვაი თუ კარგად ვერ მომივიდესო.

— შენც საკაბე მოგიტანე, თუ გამოგადგება,— დაურთო პავლემ და ცოლს გადაუდო მიხაკის ფერი შალი. ქეთევანმა გადაშალა და გულში იამა. მოტანას უფრო ყურადღება მიაქცია, ვიდრე სავაჭროს ღირსებას. შეეძლო თვითონ უფრო ძვირფასი აერჩია, მაგრამ სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა ამ საჩუქარს. მალე მაგიდა გაივსო მოტანილებით. ეტყობოდა, პავლეს პირის პატივი უყვარდა.

— ეს კარგა ხანს გვეყოფა, თუ გამოვიზოგავთ,— სთქვა პავლემ და ხუთი—ექვსიოდე ყუთი ხიზილალისა ამოიღო.

— გეთაყვა, სოლო, დროზე დააბინავე ყველა ეს მარანში და სუფრაც გაშალე. პავლემ წაღები დაიხადა და ტახტზე მოიკეცა.

— ნათლიდედ, თქვენ როგორღა ხართ?— მოუბრუნდა ანანოს, რომელიც გაწითლდა, მორცხვად თავი ძირს დახარა და ჩაილაპარაკა.

— დიდ მადლობას მოგახსენებთ, გახლავართ, როგორც შეეფერება ჩვენს გაჭირებას. ამ დროს შემოვარდა ციცო ბაკა-ბუკით.

— შეხე, პაპა, რა მშვენივრად გამეწყო ფეხებზე... ეს პრიალა რაღა აქვს?

— ეგ ლაიკაა, შვილო, ხარაზმა საგანგებოდ აარჩია, უთხარი, ახალი „მოდნისა“ მომეცი მეთქი.

კატო ხარბად უყურებდა ციცოს და გულში „შენატროდა, რომ ის ისეთი ბედნიერი იყო. ანანომ გადახედა ორივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვებს და მძიმედ ამოიოხრა. ქეთევანს არ გამოპარვია, ფარული სევდა, ალერსით გაუღიმა კატოს, თითქო უსიტყვოდ ჰპირდებოდა: მოიცა, არც შენ გაგისტუმრებ დაუკმაყოფილებელსაო. პავლეს ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, უფრო მეტი ხანი გაჩუმებული იჯდა ხოლმე ტახტზე წინდების ამარა და თავისთვის ღიღინებდა.

— ქა, რას გაჩუმდი, ქალაქიდან მოდიხარ და დავიჯერო არა იცი-რა?—ჰკითხა ღიმილით ცოლმა.

—ძალიან დავიღალე, ამ ოხერმა ცხენმა სულ მაჯანჯღალა, ეტყობა გადაჩვეულა სიარულს. შენ, სოლო, მგონი, სულ ბოსელში გება და კარზე არ გაგიყვანია!—მოუბრუნდა თეთრ ჩოხაში გამოკრულ სოლოს, რომელიც სუფრასა შლიდა.

— თქვენი რისხვა არა მქონდეს, ბატონო, დღეში ორჯელ ჩამყავდა წყალზე. უპასუხა და დააწყო სუფრაზე მშვენიერი თეთრი კაკალა პურები.

— მამა გიცხონდება, ჩქარა მოიტა და!—მიატანა პავლემ. მონატრებოდა სოფლის გემრიელი უხვი სუფრა და ახლა ხარბად უყურებდა სანოვაგეს.

— დაილოცა სოფელი! სოფლის ჭირიმე! რა არის ქალაქი?.. მჭამელი და ამასთანავე მშიერი!—სთქვა პავლემ, პირჯვარი დაიწერა და გადატეხა ცხელი პური, რომელსაც ოშხივარი ავარდა...

— იფ! იფ!.. აცხონა ამის გამომცხობის მამა!—სოლომაც საწვნე შემოარბეინა. სუფრის თავში იჯდა ქეთევანი, შემდეგ ციცო, ანანო, და კატო, სულ ბოლოს თვითონ პავლეს მოეკეცა. ანანო კრძალვით იღებდა საჭმელს, კატოს ხომ შიშით ლუკმა ყელში უჩერდებოდა. ციცო კი თამამად იყურებოდა და გემრიელად ილუკმებოდა.

სადილსაც მალე მოეღო ბოლო, პავლე იქვე მხართეძოზე წამოწვა, მაგრამ დაღალვამ და ძილმა დასძალა და გავიდა მეორე ოთახში, სადაც ბუხარში ცეცხლი გრიალებდა და ტახტზედაც საბან-ბალიში ელოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

თავადი პავლე პარპაშვილი ოჯახში ერთხელვე შემოღებულ წეს-ჩვეულებას არა სცვლიდა, ცდილობდა არ დაერღვია თავის სახლში დამყარებული ბრძანებლობა. თუმცა სამოც წლამდის მიხწეულიყო, მაგრამ ახლანდელ ახალგაზდებს უკან არ ჩამორჩებოდა არაფერში, შეძლება კარგი ჰქონდა და არას იკლებდა. პავლესა და ქეთევანს ერთად ერთი ქალის მეტი არ გააჩნდათ. ეს იყო ციცოს დედა, რომელიც პირველ ლოგინობასვე თან გადაჰყოლოდა, მისი ქმარიც მეორე წელს მოკვდა. დარჩათ პაპასა და დიდედას ობოლი, რავდენისამე დღის ციცო, რომელიც გასაზრდელად აიყვანეს. ქეთევანი იმედით შეჰყურებდა პატარა ციცოს.

— იქნება ამისმა ნიჭმა და კარგმა ადამიანობამ რაიმე ნუგეში მომიტანოს ცხოვრებაშიო,—ფიქრობდა და ეფერებოდა.

დიდი წვალება და მზრუნველობა დაატყდა ქეთევანს თავზე, ვიდრე რავდენსამე დღის ციცოს ცხრა წლამდის მოჰყრიდა. ს-ფლის დედაკაცები რიგ-რიგით აჭმევდნენ ძუძუს, სანამ საკუთარი ძიძა არ მოუყვანა. ბევრჯელ მივარდნილა სიკვდილის პირამდე ბავშვი, მაგრამ ქეთევანს თავისის მოვლით, თავგანწირულებით გამოუბრუნებია.

ქეთევანს ღიმილი გადაჰკრავდა ხოლმე, როდესაც წარმოიდგენდა ციცოს დაქალებას; აიტაცებდა პატარას, გულში ჩაიკრავდა, ცრემლებ-მორეული ჩაჰკოცნიდა, ჩასჩურჩულებდა:

— ნეტაი რა მოგელის ცხოვრებაში, შვილო? ძუძუ ნაწყენი, მისუსტებული ბავშვი გამოყოფდა პაწაწა თათს და ციცუნიასავით დაიკნავლებდა.

— ციცო, ციცო, შე, საბრალო!—მიეფერებოდა დიდედაც.

თითქო მოეწონა ეს სახელწოდებაო და სიდონიათ მონათლული ბავშვი სახლში მყოფებისთვის გარდიქცა პატარა ციცოდ, რომელიც მას დღეს აქედ იზრდებოდა მოხუცებულების ფარეზობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაპა, როცა კი სახლში იყო, ძალიან ეფერებოდა, მაგრამ იშვიათად ბრუნდებოდა სახლში. მოიგონებდა რაიმე მიზეზს, საქმეებს გაიჩენდა და გასწევდა ქალაქში, სადაც თვისთვეობამდის ატარებდა. პურ-მარილით განთქმულმა პავლემ მიხურა სახლის კარები და აღარავის იწვევდა. სამაგიეროდ, ცდილობდა მუდამ კარზე ყოფილიყო და კარზედვე გამასპინძლებოდა თავის კარგ ნაცნობ—ამხანაგებს. ამისი ყარაბაღული სიმღერა და თარი ზღაპრად იყო დარჩენილი, მაგრამ რაც ქალი მოუკვდა, ცოტა ხანს ხელი უშვა ყველაფერს მწუხარებისგან დაძლეულმა. მერე კი თანდათან გაუმკლავდა სასოწარკვეთილებას.

პავლემ ნელნელა ჩამოიშორა საშინელი სევდა.

მოკვდება, თავს მოუკვდება—
ცოცხალი დონიერიაო.

იტყოდნენ ხოლმე, როდესაც დაინახავდნენ ყურთმაჯებ გაშლილს, დარბაზში თითის წვერებზე შემდგარ პავლეს და მოისმენდნენ მისს ვაჟკაცურ ხმაზე შემოძახილ ჩარგას.

წუოი სოფლის სტუმრები ვართ,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება,
კაი ვსვათ და კაი ვჭამოთ...
ამის მეტი რა შეგვრჩება?!.

ამით ანუგეშებდა თავს პავლე, მაგრამ სახლში რომ ბრუნდებოდა, თითქო მიძინებული სევდა ისევ აეშლებოდა, აიღებდა თარს და მის ნაზ, ჰაეროვან სიმებს გააყოლებდა გულის ბოლშებს.

პავლე ოჯახსაც საგანგებოდ განაგებდა. სასიამოვნო სანახავი იყო პავლეს მარანი: კუთხე არ დარჩენილიყო, რომ სავსე არ ყოფილიყო სხვა და სხვა სანოვაგით. ღვინით სავსე ქვევრები, სხვა და სხვა მუჟუჟები, პირამდის გალიცლიცებული ჭურჭლები, შაშხები, ხილეულობა, ბოსტნეულობა, ერთის სიტყვით, დოვლათი სდუღდა და გადმოდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პავლე ქეთევანს არა რევდა საქმეში, ყველაფერს თვითონ აკეთებდა, ცოლს აივან ქვევით არ უშვებდა, მისი საქმე იყო მარტო ციცოს აღზრდა, საკერავი და აბრეშუმის რთვა განიერ ტახტზე.

ქეთევანის ასპარეზს ეს ტახტი შეადგენდა და მის გარედ ხელი არ მიუწვდებოდა.

— რა შენი საქმეა, ქალო, საკუჭნაოში სიარული?... თითიკა რისთვისა გყავს? იმას ვერ ჩაგზავნი? — ეტყოდა ცოლს პავლე.

მამულის შემოსავალ-გასავალიც ხომ, რასაკვირველია, მარტო პავლემ და მისმა მოურავმა იცოდნენ.

პავლე ხანდისხან მისცემდა ხოლმე ქეთევანს ფულს სხვა და სხვა საჭიროებისთვის, დანარჩენს-კი, როგორც თვითონ ამბობდა, „პრიკაზში“ ეზიდებოდა. ქეთევანი მზად იყო, ეს მოცემული ხარჯიც უკანვე დაებრუნებინა, ოღონდ-კი პავლეს მამული გაეწმინდა ვალისაგან. მარტო დარისპან მოურავი ულვაშებში იცინოდა, როდესაც ქეთევანი დაიწყებდა მასთან ლაპარაკს, მალე გავათავისუფლებთ მამულს ვალებისაგანაო.

— გაიგონე, დედაკაცო, ჩვენ ბატონს სულ წაუგია ბანქოში ის ასი თუმანი შალბაშის ფული და კიდევ ზედ ორმოცი თუმანიც ვალი დაუდვია, რომ არა ჰყოფნია ქეიფებში, — ეუბნებოდა დარისპანი თავის ცოლს სწორედ მაშინ, როდესაც პავლე სახლში იჯდა და თარის სიმებს აწკრიალებდა.

ქეთევანმა ციცოს წიგნის კითხვა დააწყებინა და სამ წელიწადში მშვენივრად კითხულობდა ყველა ქართულ ნაწერს. პაპასაც მოჰქონდა სხვა და სხვა საყურადღებო შინაარსიანი წიგნები.

ციცო უმეტეს დროს ატარებდა დიდედასთან, რომელიც არავისთან არ უშვებდა. ოღონდ ბავშვს კარზე არ გაეწია და სახლში ყოველ მხრივ აკმაყოფილებდა მის სურვილს, მაგრამ ციცოს გული გარედ მიჰფრინავდა, თუმცა-კი უჯერებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დიდედას და სახლში რჩებოდა. ზამთარი ზაფხულსა ჰ-ლიდა, ზაფხული ზამთარს, ქეთევანი და პავლე თანდათან ბერდებოდნენ, ციცოც იზრდებოდა.

V

მალე მზეც მიიმალა და სუსხმა იმატა. ბუხარში კვლავ აპრიალდა ცეცხლი.

ქეთევანი და ანანო ისევ განაგრძობდნენ საქმეს. სარკმლებზე ფარდებიც ჩამოაფარეს, გაისმა ოთახში ჭიქების წკრიალი: საღამოს ჩაისთვის ემზადებოდნენ. ანანომ შეახვია ბოხჩა და მოხედა პატარა კატოს, რომელიც ამ დროს ეჩურჩულებოდა ციცოს.

— კატო, შვილო, წავიდეთ, თორემ მერე გზას ველარაკი გავიგნებთ. კატოს ამ სიტყვებზე რაღაც ნაღველი დაეტყო.

— რა მიგაჩქარებს? ცოტა მოიცადე. —უთხრა ქეთევანმა, გადმოვიდა ტახტიდან და შეაღო კარი მომცრო ოთახში, სადაც სხვა და სხვა ავეჯი ჰქონდათ შენახული.

ქეთევანმა თავი ახადა თეთრ ყუთს და დაუწყო რაღაცეებს ძებნა. რავდენისამე წუთის შემდეგ გამოიტანა გამოხვეული. ეტყობოდა ციცოსი უნდა ყოფილიყო. ანანომ დაინახა თუ არა, სიხარბისაგან თვალები გაუგანიერდა, ეჩქარებოდა ხელი წაევლო, რომ დროზე თავის საკუთრებად გაეხადა, მაგრამ თავი შეიმაგრა.

— იქნება კატოსთვის გამოგადგეს. — ქეთევანმა გადაუწყო ორი-სამი ხელი ტანისამოსი. გატკრიალებული დედა და შვილი კმაყოფილებით გაემართნენ თავიანთ ღარიბ ცივ კედლებიან ჭდეულისკენ.

ციცო ისევ მარტო დარჩა და მოიწყინა. ქეთევანიც ფიქრებმა წაიღო. გარედან ისევ მოისმა ქარის ზუზუნი.

— შენს მგზავრობას პატივი სცა ამინდმა და ახლა-კი ისევ ისე შეირია, —უთხრა ქეთევანმა ქმარს, რომელიც ძილით გამაძღარი დაწითლებულის თვალებით შემოვიდა ოთახში.

— თავში იცეს... ახლა რაღას დაშაკლებს?.. ამ ბოროტ-ტელში გზაში ყოფნა-კი ძნელი იქნებოდა.—უპასუხა პავლემ, ზარმაცად დაამთქნარა, ცეცხლს მიუჯდა და თვალები გააყოლა ნაპერწკლებს.

— ჩემი ბიძაშვილი როსტომი რაღას შვრება? ან ძალუა ნატალია?—იკითხა პავლემ კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ.

— რა უშავთ? ამ ორის დღის წინად ნატალია იყო აქ, როსტომი კი თავისებურად კრუხივითა ზის სახლში და ოჯახს თავს დასტრიალებს. ნეტაი იმას! ძალუა ნატალია დიდი გახარებულია, ამ მაისში ათავებს თურმე სწავლას იმისი ელენე.

— მართლა?—შესძახა გაოცებულმა პავლემ და ჯოხი შეუჩიჩხინა ბუხარს.

— ე ჩემი ციცო უნდა მივაბარო ელენეს, ეგება რუსული წერა-კითხვა მაინც ასწავლოს.

— ძალიან კარგს იზამ, მე და ჩემმა ღმერთმა, ციცოს ელენეს სკოლაც ეყოფა. მეტი რა საჭიროა.—უპასუხა პავლემ.

ციცო ყურს უგდებდა ამათ ლაპარაკს და გულში უხაროდა, რომ ამ ზაფხულს ელენესთან დაიწყებდა სიარულს. ციცოს დიდი ხანია შეყვარებოდა მისი ლურჯი თვალები; ელენეს წრფელი სახე ანდამატივით იზიდავდა ციცოს. შორს წასვლა, მოშორება დიდედა და პაპასი თვითონ ციცოსაც ეზარებოდა.

— განა ელენე-კი ვერ ასწავლის ყველაფერს, დიდედასთანაც იქნება და ციცო პატარა კატოსაც გაუზიარებს თავის ცოდნას.

ასე ფიქრობდა ციცო და თვალები კმაყოფილებით უბრწყინავდა.

— ოჰ, როდის უნდა გავიდეს ეს ოხერი ზამთარი? შორს არის, შორს ზაფხული! დღეს ხომ ოცი ქრისტეშობისთვეა, მაისამდის კი ჯერ ბევრი დროა! ოთხის დღის უკან შობა უნდა გათენდეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციცოს ძალიან მოსწონდა ეს დღესასწაული. ახალ წელს ღამეს ციცო თეთრის თვალით ათენებდა, რადგან სახლში ამზადებდნენ გოზინაყს, ალვას და მრავალ სხვა და სხვა ტკბილეულობას. მთელი სოფელი ცოცხლდებოდა, მათთან ერთად ციცოც.

— მაინც ზაფხული სჯობიან ზამთარს! რა საყვარლად მოიფინება ხოლმე ველ-მინდორი სხვა და სხვა კეკლუცებით!.. ჰაგრამ... მაგრამ... დიდედა არსად უშვებს... წაიქცევიო, ტანისამოსს დაიხევო, ხარ-კამეჩი გერჩისო. ათასი მიზეზი წინ ელობება. ციცო ჯერ კიდევ პატარაა, რომ ყველა ამ დამაბრკოლებელ მიზეზებს არ შეუშინდეს და გაუმკლავდეს. მაგრამ არა უშავს რა. ახლა ელენე მოვა, მისს მზრუნველობის ქვეშ იქნება ციცო და დიდედაც ელენეს ხათრით აღარსად დაუშლის წასვლას. ელენე კი ისეთი კეთილია! იმისი პატივის ცემა ყველასა აქვს. მანამ დიდიც გაიზრდება და შეიქმნება თავისუფალი! ამ ფიქრების მორევში დასცურავდა ციცო; ველარ ამჩნევდა, დრო როგორ მიდიოდა და ყველა საძილედ ემზადებოდა.

VI

სოფელი სიცივეს ყურს არ უგდებდა და ემზადებოდა სახვალიოდ დღესასწაულისათვის. საღორეებიდან მოისმოდა ღორების ჭყვიტინი. ყველა ვისაც-კი წლითი-წლობამდის სველი ლუკმა არ ეგემა, სახვალიოდ იმზადებდნენ პირის გასაგემრიელებელს. პავლეს ოჯახშიაც დიდი ფაცი-ფუცი იყო. დედაკაცებს თავი მოეყარათ სათონეში და ცხელ-ცხელ ლავაშებს იღებდნენ. სოლოს დაეკლა დიდი კერატი, ლანგარზე დაედო და აკეთებდა.

— აბა, მამა გიცხონდება, მაგას დროზე მორჩი, და, კუთხეში რომ სამ კოკიანი ზედაშე არის, ფრთხილად მოხადე! ვინძლო მიწა არ ჩაგიცვივდეს.— ეუბნებოდა პავლე და ტრიალებდა სამზარეულოში, ყველაფერს ათვალიერებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხვალ კაცები ქათმებს მოიტანენ და იმათ ... ლებლად ჭურჭელი მოამზადე.

— ბატონი ბრძანდებით...—მორჩილებით უპასუხა სოლომ და ხელი ააჩქარა; ეხმარებოდა სტუმრად შემოსული მეზობლის ბიჭი. ზევით სართულში დიდედა გაფაციცებით ჰკერავდა ციცოს ახალ კაბას, რომ სახვალიოდ მოესწრო.

მეორე დღეს, ჯერ არ იყო ნანათლი, ქეთევანი და პავლე ჩვეულებრივ ფეხზე იდგნენ. ციცომაც ადრე აიწია. საყდრის ზარი დაირეკა თუ არა, ხალხმა დაიწყო საყდრისკენ დენა. მორთულ-მოკაზმულ ლეჩაქ-ყურ გადაგდებულ ქალებს დაეკარწახებინათ და მისდევდნენ თოვლზე გაყვანილ ბილიკს. ურემიც მოჭრიალდა სახლის წინ, პავლემ უშველა ქეთევანს ურემში ჩაჯდომა და გვერდით ციცო მოუსვა. ეკლესია შორს არ იყო და ურემმა მალე მიატანა, იმას მოეწია მეორეც, რომელშიაც ისხდნენ კნეინა ნატალია და როსტომი. საყდარში შეიქნა ჩურჩული, მიწევ-მოწევა, პავლე გადავიდა საწიგნობელის წინ და ქეთევანი კი გაჩერდა კარების ახლო კუთხეში და წინ დაიყენა ციცო. როსტომმა და ნატალიამ ხატებ წინ დაიჭირეს ადგილი. მლოცველების თვალები ხშირად უნებურად გადიოდნენ გვერდით მდგარ მეზობელზე და დაკვირვებით არჩევდნენ. მრავალი ახალი ტანისამოსი უსიტყვოთ ეკამათებოდა ერთი მეორეს. ციცო, პირის ფერ კაბაში გამოწყობილი, გრძნობდა, რომ მორთულობით ყველას სჭარბობდა, თუმცა გარედან არა სჩანდა და სათბუნებელში შეფუთვნილი იყო.

კატო და ანანოც აქვე იდგნენ ახლო. კატოც ციცოს ნაცვამ კაბით თავს იწონებდა. წირვა გამოვიდა. მღვდელმა ხალხი ჯვარით დაამწყალობა. ხალხმა დაიწყო საყდრიდან გამოსვლა.

— მრავალ შობა დღეს დაესწარით!

— თქვენც დაესწარით!..

ულოცავდნენ ერთმანეთს როსტომი და პავლე... ქეთევან და ნატალია. ხალხი ამათ თავს უკრავდა და მიდიოდა თავის გზაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღევანდელ დღეს ყველა ელოდა თავის ოჯახში დღეს სასწაულის მხიარულად გატარებას და მიესწრაფებოდა.

ის იყო, პავლე და ქეთევანი ამოვიდნენ თუ არა სახლის კიბეზე, უკან მოჰყვა შემოსილი მამა იოსები ჯვარით ხელში. პავლემ მაშინვე მიიწვია ოთახში.

— შობამან შენმან, ქრისტე ღმერთო, აღმოუბრწყინა სოფელსა ნათელი! — გაისმა ოთახში იოსების ხმა.

— გაცოცხლოთ, გადღეგრძელოთ, ბატონო! — ამ სიტყვებით კარი შემოაღო ხონჩით ხელში ნინიკამ, რომელსაც სახე ალეწოდა და ძლივს ფეხზე იდგა.

მღვდელი მოლოცვის შემდეგ მალე წავიდა, ნინიკას მოჰყვა მეორე გლეხი, მესამე, მეოთხე...

— აგაშენათ ღმერთმა!..—უპასუხა თავ-გამოდებით პავლემ და თანაც თვალები დააცეცა მსუქან დედლებს და ბოთლებით არაყს.

— ქვევით ჩადით!..—დაუმატა მოწყალედ.

გლეხები მიხვდნენ, რასაც ნიშნავდა ეს ქვევით ჩასვლა და მაშინვე კმაყოფილებით გატრიალდნენ; თავს იყრიდნენ ბოსელში, სადაც ელოდათ უხვი სუფრა.

— მოგვილოცავს, ქალბატონო, ღმერთმა ქმარ-შვილი გიცოცხლოთ! — ოთახში შემოვიდა რამდენიმე დედაკაცი, მათ შორის ანანო და კატოც. დედაკაცებსაც თვალები უციმციმებდათ და პირზე ღიმილ-სიცილი არ შორდებოდათ.

ქეთევანი მიეგება და სათითაოდ გადაჰკოცნა. პავლემ გასწია ქვევით ბოსლისკენ, ციცოსა და კატოს აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. მალე ბოსლიდან მოისმა „მრავალ-ჟამიერი“. ოთახშიაც ორ პირად გაიშალა სუფრა, რომელსაც ქალები შემოუსხდნენ.

— მართა, რასა პატარძლობ? რატომ არასა სჭამ? ანანო, ღვინო დაუსხი ნინოს!..—ღიმილით უმასპინძლდებოდა ქეთევანი ქალებს. ესენიც მხიარულად შეექცეოდნენ სადილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII

ზამთარი გავიდა. გულის შემაღონებელი გრძელი ღამეები დამოკლდა. მარტმა თოვლი წყლად აქცია, აპრილმა მინდვრები აამწვანა, შიგ ჩააქსოვა სხვა და სხვა კეკლუცი ყვავილები, რომელნიც მომხიბვლელად ირხეოდნენ. ხალხი გამოიშალა კარზე, ხარბად შეისუნთქა მაცოცხლებელი გამჭვირვალო ჰაერი, გაისმა ათას ნაირი ხმები. გალაღებული ფრინველები სრიალებდნენ, ფრენდნენ, მიილტვოდნენ შორს სადღაც. თავისუფლება, სიფართოვე და სიმჩატე მოჰქროდა ყოველ მხრივ.

სოფელსაც სამხატვრო ელფერი დასდებოდა. მწვანე მცენარეებში გახვეული შენობები დიდებულად იყურებოდა შორიდან. ბაღებს მოსდებოდა ხალხი, მზის ბრწყინვალე სხივებზე აელვარებდნენ თოხებს. წკრიალებდა რკინა, მას თან მოსდევდა სევდიანი ღიღინი.

თავად პავლეს გრძელი აივანი ავსილი იყო მზის სხივებით, სარკმლები დაეღოთ და მათში თავისუფლად დაფრიალობდა წმინდა ჰაერი, რომელსაც ახალი სიცოცხლე შეჰქონდა ოთახებში.

სახლში მყოფნი დღის შესაფერად მორთულიყვნენ, ქეთევან და ციცო გამოწყობილიყვნენ საზაფხულო სუბუქ ტანისამოსში.

ციცო აღტაცებული დახტოდა აივანზე და მალ-მალ იხედებოდა შორს ცნობისმოყვარეობით. ქეთევანი ჩვეულებრივ ტახტზე იჯდა, გარედ არაფერი არ იწვევდა, თითქო ყოველივე უკვე მობეზრებოდა, ციცო-კი გაოცებული შეჰყურებდა ბუნების სიდიადე-საკვირველებას. თითქო ცაში ჰფრენდა, გადადიოდა ფერიათა სამფლობელოში. წუთს ოთახში შემოვარდებოდა, მიმოიხედავდა, მისი წარბები მოიღუშებოდა. ციცო არ კმაყოფილდებოდა სამის პატარა ოთახით. აქ ყოველივე დაძველებული იყო, თვითეული ავეჯი, რომელსაც ახლა ხედავს ციცო, ამავე წეს-რიგით დახვედრია პირველსავე დღეს, როდესაც ქვეყნად გაჩნდა. თვალებმა მათით გაიგეს საგნების მნიშვნელობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელებმა—შეხება. ციცო-კი დღეს ათის წლისაა და მოსწყინდა ერთი და იგივე. სხვა სანახავი უნდა, მობეზრდა ეს მომცრო შკაფი, ან მაგიდა, რომელზედაც გადაფარებულია ქეთევანისგან მოქსოვილი თეთრი სუფრა, ან გრძელი ტახტი. მეორე ოთახშიაც ძველი, პირგადაძენძილი დივანი დაღვრემილი შეჰყურებს ციცოს. მისი მსგავსი სავარძლები და ტახტი ახალს არას ეუბნება. ციცო საჩქაროდ გარბის ისევ კარზე და ხარბად ისუნთქავს ჰაერს. ხანდისხან ჩაირბენს კიბეზე და შეიხედავს სამზარეულოში. იქ სოლო დგას ცეცხლა პირას და სადილს ამზადებს.

სოლოს ძალიან უყვარს ციცო, რადგან იმისი გაზრდილია, თვითონ ციცომაც იცის და უნებიერდება. ხარბად შეჰყურებს ხელებში, როდესაც სოლო ტაფაში ბრაწავს კარტოფილს, ან ვარიას ხოხბავს. რავდენიმე წუთი და ციცოს კბილებში გააქვს ხრამა-ხრუმი გემრიელ სასუსნავს. სოლო გადმოუბრუნებს როდინს და მოუბრუნდება.

— აბა ციცო, ამ როდინზე დაჯექი და ყარამანის ამბავი მიამბე. ესეც უჯერებს, გულდასმით მოუყვება სოლოს, სახე უცოცხლდება და კეთილ თვალებში გაოცება ეხატება. ციცო გათავების შემდეგაც საჩუქრად იღებს სოლოსგან ჩურჩხელებს, ან ვაშლს, რომელიც სოლოს გამოულეველად აქვს მისთვის შენახული. რომ მოსწყინდება სოლოსთან, ციცო შერბის სახაბაზოში. იქ თითიკა წამოჩოქილია თონეზე, ხანდისხან ფეხის თითებით ეკიდება და ისე სწვდება გავარვარებულ ცეცხლს და ციცოს ცხვირში ულიტინებს ახალ ნამცხვარის სუნი, თითიკაც წაუტეხავს საუკეთესო პურს, ან ლავაშს და ციცოც მადიანად ილუკმება. სახაბაზოდან გოგონა გარბის ბაღში, რომელიც იქვე სახლის წინ გაჭიმულა. აქ ფეხქვეშ ეგება რბილად მწვანე მოლი, ყვავილით შეფოთქილი ხეები ნაზად თავს უხრიან.

— სტეფანე, მაგას რათა თოხნი?—ეკითხება მუშას ციცო.

— ეს კიტრია, ბატონიშვილო, ეს სიმინდი.—ეუბნება სტეფანე და განაგრძობს ღიღინით მუშაობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ციცო, ციცო, მანდ სად ჩასულხარ, ქალო? — ეძახა მის ამ დროს ძახილი. ბავშვი იხედება, ქეთევანი დგას აივანზე და ხელს უქნევს. ციცოს ეძნელება მშვენიერ ბუნების მოშორება, მაგრამ მეტი ღონე არ არი, უნდა დაბრუნდეს და ესეც ნელ-ნელა მოდის; თან გული ევსება საყვედურით, მზად არის ცრემლები გადმოღვაროს.

ციცო ხმას არა სცემს დიდედას და დაღონებული გაიყურება აივნიდან. აგერა გზაზე გამოჩნდა ეტლი, ციცომ იცნო, რომ ეს ბიძია როსტომისაა, სადგურზე გზავნიდნენ. წუთს ციცოს თვალები გაუბრწყინდა და გახარებულმა დაჰკრა ტაში და მოუბრუნდა დიდედას.

— ეტლი მიაქვთ, ეტლი!

— ჰო, შვილო, დღეს სადილად მიწვეულები ვართ ძალუა ნატალიასგან, ელენეს მოელიან, — უპასუხა ქეთევანმა და ოთახში შებრუნდა. შუადღე მოვიდა, წასვლის დრო იყო. ციცომ ჩაიცვა ჩითის ახალი კაბა და გვერდით ამოუდგა დიდედას. ქეთევან სისრულისაგან ძლივს მიდიოდა, მალ-მალ ისვენებდა, ამათ უკან მიჰყვებოდა დიდის სახრით სოლო, რომ მოსეული ძაღლები მოეგერებინა ქალბატონისთვის. ციცო მიდიოდა გულის ძგერით და, რაც უფრო უახლოვდებოდა ძალუა ნატალიას სახლს, აღტაცება უორკეცდებოდა. კარგა მანძილი ჰქონდათ გასავლელი.

სოფლის თავში გზა ბოლოვდებოდა და მოსჩანდა დიდი უზარმაზარი ბჰისკარი, რომელშიაც უნდა შესულიყვნენ. ქეთევანმა როდის-როდის მიაწია და შედგა შესასვენებლად. დაღალვისგან გული ასდი-დასდიოდა, სულს ძლივს ითქვამდა. ციცო უცდიდა დიდედას დასვენებას და პირდაპირ გაიყურებოდა.

თვალ-გადუწვდენელი ეზო დაფენილი იყო მწვანე ხავერდით, ერთ გვერდზე გაევლოთ მესერი, რომელსაც იქვე ჩამოუდიოდა ჩანჩქარით პატარა რუ. შიგ პაწაწა ნაკეებივით სცურავდნენ ბატები. ქვიტკირის კედელზე ასულიყო ფარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევანგი, გაეშალა მარაო-ბოლო და გაჰკიოდა რალაც ბალ-ცაში, თითქო მასპინძლებს აუწყებს, სტუმარი მოგდითო. ძირს დედამიწაზე, რუს პირად, მოლს დაჰკროდნენ მწვანე ჭუკები, რომელნიც ის ის იყო ამოსულიყვნენ წყლიდან. ფრთებზე შენარჩუნებული ცვარები მარგალიტებივით დასხმოდნენ, თავს ილამაზებდნენ მზის სხივებზე.

სახლის მაღალი გადაყვანილი თაღები ძველებურ საზღაპრო მხარეში იტაცებდა ციცოს.

დიდედამ მოიკრიფა ღონე და გასწია. აგერა შეიარეს ეზო, აივანს მიუახლოვდნენ, სადაც ვრძელი მაგიდა იდგა. მის წინ ტახტზე მხარ თეძოზე წამოწოლილიყო როსტომი და ცისფერი თვალები მიემართნა სივრცისთვის, მაგრამ, დაინახა თუ არა მიმავალი ქეთევანი, საჩქაროდ წამოვარდა და წინ მიეგება.

— მობრძანდით! — წარმოსთქვა მან და მოიხედა ოთახებისკენ, საიდანაც ეგონა ნატალია გამოვიდოდა.

ქეთევანი ჩამოჯდა ტახტზე დასასვენებლად, ციცოც მას მიეყუჟა. ნატალიამ დიდხანს არ ალოდინა, ბოდიშებით გამოვიდა, დავიგვიანეო და მოუჯდა ქეთევანს.

— ჩემი მაზლი როდის მობრძანდება? — ჰკითხა ნატალიამ.

— იწერება, საქმეების გამო ამ თვის გასვლამდის ვერ მოვალო, — უპასუხა ქეთევანმა და ნაღვლიანის თვალებით შეხედა ორივ ცოლ-ქმარს, რომელნიც კმაყოფილებით იყურებოდნენ.

— დღეს ჩემს ლევანსა და ელენეს მოველი. მინდოდა მე თვითონ წავსულიყავი მოსაყვანად, მაგრამ ვერ მოვახერხე და ჩემს ლევანს მივწერე ქალაქში, ამომიყვანე მეთქი. ერთ დღეს მოახერხებს ამორბენას. შენა, ციცო, რატომ აგრე გვიან-გვიან გვნახავ ხოლმე? — მიუბრუნდა ნატალია ციცოს, რომელიც ილიმებოდა. ამ დროს კარებზე მოგრიალდა ეტლი, საიდანაც გადმოხტა სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილი ახალგაზდა, რომელმაც ხელი მიაწოდა ყმაწვილ ქალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ელენე!—შეჰკივლა ნატალიამ და მივარდა შვილს. ელენე ჩაეკრა დედას გულში, შემდეგ მამას მოეხვია და ბოლოს ქეთევანს გულზე აკოცა.

— ციცო, აქა ხარ?—გაისმა წკრიალა ხმა ელენესი და აღტაცებით დაეკონა პატარა ქალს. ელენე მამასა ჰგავდა. ისეთივე მშვენიერი ლურჯი თვალები ჰქონდა, თეთრ-ყირმიზი ნაკვთები, თავისებური ქალური ნაზი იერი კიდევ უფრო იზიდავდა მნახველს. მის შუატანს მოხდენით გამოსწყობოდა ცის ფერი კაბა. სადილი აივანზე გაიშალა, ელენემ გვერდით მოისვა ციცო და განუწყვეტლივ უალერსებდა. ლევანიც გათამამდა და დაუწყო ხუმრობა ელოსა და ციცოს. სადილ შემდეგ, ლევანს კარებზე მოადგა ისევ ოთხ ცხენ შებმული ეტლი, რომელმაც საჩქაროდ გააგრიალა ყმაწვილი კაცი სადგურისკენ. ელომ-კი ხელი მოჰკიდა ციცოს და წაიყვანა ბაღში—ელენე ჩაჯდა ხეებ შუა გაბმულ ბადეში და დაიწყო ოდნავ რხევა. ციცოც იქვე ახლო ჩამოცუცქდა დაბალ ხის ტოტზე და ელენეს შესცქეროდა.

— ციცო, მაშ შენ სულ ამ სოფელში ხარ? არსად წასულხარ? ნუ თუ არა გწყინდება ერთ ადგილს ყოფნა?—ეკითხებოდა ელენე.

— არა, ელო, მე აქ ძალიან კარგადა ვგრძნობ თავსა. პატარა კატოსთან ვთამაშობ, წიგნებს ვკითხულობ. ზაფხულში ხანდისხან დავდივარ მინდვრებსა და ბაღებში, თუმცაკი...—აქ შესწყვიტა ციცომ ლაპარაკი და ნაღვლიანად გვერდზე გაიხედა.

— თუმცა რა?..—მიატანა ელომ და მოუმატა რხევას.

— დიდედა არსად მიშვებს.

— რატომ? ჰაერზე ყოფნა ძალიან სასარგებლოა მეტადრე სოფელში.

— დიდედა კი ამბობს, სახლში უნდა იყოვო.

— აი, მე მოვედი, ციცო, შენც სულ ჩემთან გამყოფებ. მე შენ გაჩუქებ სხვა და სხვა ნახატებიან წიგნებს!—ელენემ ალერსით თავზე ხელი დაუსვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გასწავლი რუსულს, ფრანგულს... მე შენ ძალიან მომწონხარ. — უთხრა ელომ.

— მეც მომწონხარ... მიყვარხარ .. დაიჩურჩულა ონდავ ციცომ, ყურებამდის გაწითლდა და დარცხვენით თავი დახარა ძირს.

VIII

ციცოს ცხოვრება შეიცვალა. გათენდებოდა თუ არა დილა, მოგონება აღარ უნდოდა, საჩქაროდ ჩაიცვამდა, პირს დაიბანდა, ჩაის დალევდა და გასწევდა ელენესკენ კმაყოფილი. დიდედასაც გულში შვება ეძლეოდა, რომ ამისი ციცო გაუნათლებელთა სიაში არ მოექცეოდა და ხელს უმართავდა ბავშვს, რომელიც დღე და ღამ, ელენეთი მოხიბლული, სულ იმის გონებაში იყო. რაც ელენე მოვიდა, ქეთევანი გრძნობდა, რომ იმას აღარ ეკუთვნოდა შვილი-შვილი, რომელიც თითქო გაურბოდა განზე. პავლეც აგვიანებდა სახლში დაბრუნებას და მოხუცებული რჩებოდა მთელი დღეები თავის აბრეშუმსა და თითიკასთან ერთად. ციცო ყურადღებას არ აქცევდა ამ გარემოებას და ელენესკენ მიისწრაფოდა. ელენეც ყოველთვის ალერსით უხვდებოდა. შეიყვანდა თავის ოთახში, მოუჯდებოდა გვერდით და ასწავლიდა. ხანდისხან, როდესაც ნატალია დიასახლისობაში იყო გართული, როსტომი მინდვრად წავიდოდა ბულულების დასათვალიერებლად, ელენე აივანზე გამოიყვანდა ბავშვს, მაგიდასთან დასხდებოდნენ და მეცადინეობდნენ. მოხდებოდა ხოლმე, რომ ელენე და ნატალია კვირის-კვირობამდის წავიდოდნენ სადმე სტუმრად, მაშინ ციცო ისევ ბრუნდებოდა სახლში და ასწავლიდა პატარა კატოს. ელენე დიდ მუყაითობას იჩენდა სახლში, ცდილობდა ნატალიას უკან არ ჩამორჩენოდა და არას დროს უსაქმურად არ დარჩებოდა. ციცო გაფაციცებით უყურებდა თავის მასწავლებელს, თვითვეულ მის მოქმედებას და მისს გავლენის ქვეშ ესეც შეუმჩნევლად იზრდებოდა, ვარდის კოკორივით იფურჩქნებოდა. ორ წელიწადში ციცომ დაიწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყო რუსულად თავისუფლად კითხვა და ცოტა [illegible] მეტად მხიარულადა გრძობდა თავს როსტომისას. ციცო ბუნებით მხიარული და სიცოცხლით სავსე იყო, გულ-უბრიყვილო სულ კისკისებდა და თავისუფლად ფრთებსა შლიდა. როსტომს და ნატალიას ძალიან უყვარდათ ეს უმანკო არსება და შვილებში არ არჩევდნენ. მაგრამ ციცოს უზრუნველობა ისევ დაიჩრდილა, როსტომის ქალი ელენე დაინიშნა სვიმონ ძალვანაშვილზე და ციცოსთვის ველარ იცლიდა. ყველა საქორწილოდ ემზადებოდა, ციცო დაუბრუნდა დიდედას, რომელმაც კმაყოფილებით გაუღიმა და ჩაუჯდა წიგნების კითხვას; ხარბად კითხულობდა და თავს დავიწყებას აძლევდა, მარტო ისევ კატო იყო ამის მოწყენილობის გამქარვებელი; ისიც ხშირად მოდიოდა და ცდილობდა გაერთო.

— დიდედა, ნუ თუ აქედან სამუდამოდ უნდა წავიდეს ელენე? როგორ მენანება!.. ვერ გამიმეტებია!—შესძახა თვალ ცრემლიანმა ციცომ და მოხუცებულს მოეხვია.

— რა უყოთ, შვილო, თვითონ ხომ კმაყოფილია?

— მოშორდეს ყველას? დედმამას? მეგობრებს? ოჰ, არა, მენანება, ძრიელ მენანება, დიდედა! ვერ დავთმობ!—ქვითინებდა ციცო სწორედ იმ დროს, როდესაც ელენე იდგა თავის ოთახში სარკის წინ და თავზე ყვავილების გვირგვინს ადგავდნენ, სადედოფლოდ აწყობდნენ. ეზო და სახლი სტუმრებით ავსილიყო, ციცოც უნდა წასულიყო ქორწილში, მაგრამ გული უკვნესოდა. დიდედასაც ცრემლები მორეოდა თვალებში, თავზე ხელს უსვამდა შვილიშვილს, რაღაც ფარული სევდა უკრთოდა სახეზე.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარია.

(დასასრული იქნება)

ტკრიალა.

(ლეგენდა)

ამე იყო, პირველი ღამე ადამ-და-ევას სამოთხიდგან გამოდევნის შემდეგ. ვარსკვლავნი, რომელნიც მზის მაგივრობას ეწეოდნენ ღამით, ცის სივრცეში გადამალულიყვნენ და შემოქმედის მიერ დაწყევლილი დედამიწა წყვდიადს მოეცვა. მხოლოდ ედემის არე-მარე ღადღადებდა: იქ, სამოთხის კარებთან, მთავარანგელოზი იდგა ცეცხლის მახვილით და ცხოვრების ხესთან აღარავის აჭაჭანებდა.

განდევნილები შორი ახლო ხეებ ქვეშ მიკუნჭულიყვნენ და სასოწარკვეთილებას ეძლეოდნენ. ჰგრძნობდნენ, რომ ღვთის წინაშე დამნაშავენი იყვნენ და სვინიდისი ჰქენჯნიდათ; აგონდებოდათ დაკარგული ნეტარება და გული უღონდებოდათ, სულ-მოკლეობით ერთმანეთს აბრალებდნენ ამ უბედურებას, ხან საცოდავად ჰგმინავდნენ და ქვითინებდნენ, ხან უზენაესს ემუდარებოდნენ ცოდვების მოტევებას. სციოდათ; შიმშილი ცალკე აწუხებდათ, უძილობა—ცალკე; არ იცოდნენ, სად გამთბარიყვნენ, ან თავი სად მიედრიკნათ, ან როგორ გამაძღარიყვნენ.

ქვეყნიურნი ქმნილებანი, უწინ დედამიწის მბრძანებლების ყურმოჭრილი ყმანი, ახლა მტრად გადაჰკიდებოდათ, რად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან სხვათა შორის ისინიც დაიწყევლნენ ადამ და ევას ბრალ-
ზით. ამიტომ, პირველ ადამიანებს მოსვენება აღარა ჰქონდათ
აუარებელ მწერებისაგან, რომელნიც ირგვლივ მუქარით
დაბზუოდნენ, შხამიან ქვეწარმავალისგან, რომელიც იქვე
საზიზღრად დაცურავდა, ტურებისა და ლომებისაგან, რო-
მელნიც ყოველ მხრიდან საზარლადა ყმუოდნენ და ღრია-
ლებდნენ.

*
* *

ქვეყნიურ ქმნილებათა შორის მხოლოდ ფრინველები არ
გასდგომიან პირველ ადამიანებს. ის ფრინველები, რომელ-
ნიც შექმნისათანავე დაჯილდოვებულ იყვნენ სიმღერის ნი-
ჭით, ყოველ მხრიდან მოფრინდნენ და მთელ ღამეს სიმღერა-
გალობა არ შეუწყვეტიათ,—გამწარებულებს ნუგეშსა სცემ-
დნენ. უსტვენდა ბულბული, გალობდა კიოტა, მღეროდნენ
დანარჩენი ფრინველებიც. მოფრინდა იმ ალაგას დაუზარებე-
ლი ტოროლაც. ფანცქალა გული ჯავრით ევსებოდა, ადამ
და ევას რომ ამ ყოფაში ჰხედავდა, მაგრამ ამხანაგებთან ერ-
თად თავისი თანაგრძნობა ვერ გამოეთქვა სიმღერით, რად-
გან გამჩენმა არ დააჯილდოვა მუსიკალურის ნიჭით. ამიტომ
რტოდან რტოზედ გადახტებოდა და საცოდავად წრიპი-
ნებდა.

*
* *

გათენებისას სიმღერით დაქანცული ფრინველები გაჩუმ-
დნენ და თავთავიანთ ბუდეებს მიაშურეს. არ გაფრენილა
მხოლოდ ტოროლა და საცოდავის წრიპინით რტოებს ედე-
ბოდა. როდესაც მზემ ამოაშუქა და გამოღვიძებულმა ფრინვე-
ლებმა ხელახლად სიმღერა მოართეს, ტოროლამ ველარ აიტა-
ნა თავისი უსარგებლობა; აფრინდა მაღლა, ძალიან მაღლა,
რომ იქ, გამჩენისათვის ეთხოვნა გალობის ნიჭი სასოწარ-
კვეთილ ადამიანების ნუგეშსაცემად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოქმედს ძალიან მოეწონა ტოროლას ასეთი უანგარო და მცირე თხოვნა და დაასაჩუქრა სიმღერის საუცხოვო ნიჭით, ისეთის ნიჭით, რომელიც არც ერთს ფრინველს არ მოეპოვება: მართლაც და, აბა, რომელ ფრინველს შეუძლიან განუწყვეტლივ იგალობოს და თან კამარები აკეთოს, თითქოს ცასა და დედამიწას ეტრფიალებაო!

*
* *

ამ დღიდან, როგორც კი მზე ამოვიდოდა და პირველი ადამიანები აუტანელ მუშაობას მიჰყოფდნენ ხელს, თან აჰყვებოდა ტოროლაც. კოპწიად ჰაერში დასცურავდა და თან საუცხოვოდა მღეროდა. ადამ და ევა მუშაობდნენ და ტოროლას ყურს უგდებდნენ. გონებას მწუხარება აღარ უჩრდილავდათ და თვალებზედ ცრემლები აშრებოდათ; გაუხარელ ცხოვრების სიმწარე ნელ-ნელა უქარწყლდებოდათ და მომავალის იმედით გული ევსებოდათ.

*
* *

დღემდე ეს საყვარელი ფრინველი ადამიანს ემსახურება: მგალობელთა შორის იგი პირველი მოფრინდება ხოლმე ცხელ ქვეყნებიდან და თან სასიხარულო ამბავი მოაქვს, „გაზაფხული დგებაო“; დილიდან საღამომდე თავს დასტრიალებს მინდორ-ველებსა და განუწყვეტლივ საუცხოვოდა გალობს.

ამბობენ, ადამიანის ბედნიერების საიდუმლოება მამა უფალმა ტოროლას სიმღერაში ჩამალაო; სწორედ ამიტომ მღერის ტოროლა ასეთ მაღლობსა და გაშლილ ადგილებში ყველასათვის გასაგონადაო და დედამიწაზედ სასუფეველი ჭეშმარიტებისა და კეთილისა მაშინ დამყარდება, როდესაც ხალხი ტოროლას სიმღერას შეიგნებსო.

ამიტომ ხომ არ არის, რომ როდესაც მინდორი ათასფრად აყვავდება და ყანები ზღვასავითა ღელავს, ჰაერში ტოროლა დანავარდობს და თან საუცხოვოდა მღერის,—ამიტომ

ხომ არ უხარიან ასე ხალხსა და გულიდან რალაც ლოდი შორდება; გინდა, რომ იმ დროს ვისმეს მოეხვიო, საალერსო სიტყვა უთხრა, რაიმე კეთილი საქმე უყო?!

და როდესაც შენც, ჩემო მკითხველო, გულს დარდები მოგაწვეს, მინდვრებში-კი ყველაფერი ათასნაირადა ჰყვაოდეს, ყური დაუგდე ტოროლას და შენც იგრძნობ შვებას!..

ფ. კ—შვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდების მაძიებელი.

II

(შენდეგი)

ადადგა ჯაფარი მეოცე წელში და ფიქრი დიადის და სახელოვანის საქმისა მოსვენებას არ აძლევდა. იყო განათლებული, ნიჭიერი და საოცარის სიმარდითა და ღონით დაჯილდოვებული; იმაზე უკეთესი მხედარი და მოისარი არავინ იყო მთელს ქალაქში.

— სახელი, პატივი, დიდება!—ჩურჩულებდა ყრმა და თვალები ცეცხლებრ ენთებოდა.

და, აი, შემთხვევამაც ხელი შეუწყო. იმათის ქვეყნის ხალიფამ ომი დაიწყო მეზობელ სახელმწიფოებთან. საუკეთესო წინამძღოლნი ხალიფასი ბრძოლის ველზე იქმნენ განგმირულნი და გამარჯვება მოწინააღმდეგესა რჩებოდა.

ჯაფარმა გადასწყვიტა, დადგა ნეტარი დრო სახელისა და დიდების მოხვეჭისაო და სთხოვდა მამას, ნება მომეცი, ომში წავიდეო.

— დიდებული და სახელოვანი დაგიბრუნდები, მამაჩემო,—ეუბნებოდა ჯაფარი გამოთხოვებისას.

მოხუცი წყნარის, ნაღვლიანის თვალებით აცილებდა შვილს.

გავიდა სამი წელი. ომი გათავდა. ჯაფარის თავგანწირულმა ბრძოლამ გამარჯვება ხალიფას არგუნა და ჯაფარიც სახელოვანი შეიქმნა: დაიპყრო ქალაქები, ტყვედ წამოიყვანა მეომრები. ამ გამარჯვების წყალობით ხალიფას სამეფოს საზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვრები გაფართოვდა და დაპყრობილი ქალაქები მოვალენი იყვნენ ხარჯი ეძლიათ.

გათენდა დღე დიდებულის მოსულის მცხოვრებთათვის. ომიდან დაბრუნდა სახელოვანი წინამძღოლი ჯარისა. ქალაქის შესავალ კარებთან მოზღვავებული ხალხი გულის ძგერით და მოუთმენლად ელოდა ღირსეულ მამულიშვილის შეხვედრას. გზა, რომელზედაც უნდა გაევლო გამარჯვებულს გმირს, სურნელოვან ყვავილებითა და ძვირფასის საფენებით იყო მოფენილი. აი, გამოჩნდა კიდეც წყნარად მომავალი გუნდი მეომართა, რომელთაც წინ მოუძღოდა თეთრ ცხენზე მჯდომი ჯაფარი. ხალხი შეკრთა, აღელდა და ნეტარების ღიმილმა გადაჰკრა სახეზე. ერთი წუთიც დუმილისა და გაისმა გულის სიღრმიდან ამოხეთქილი ხმა ბედნიერებისა, ამოძრავდა, ერთი მეორეს ეცა და დასცა ყიჟინა.

მოხუცი მაჰომედ-ალი არ გამოვიდა ქალაქში შვილის მისაგებებლად. ნურედინის მხარზე დაყრდნობილი თავისს სასახლის წინ ელოდა. ძმის ნათელი სახე მოუთმენელს სიხარულს გამოჰხატავდა, მოხუც მამისა-კი —სიმშვიდეს და სიდიადეს.

მიუახლოვდა ჯაფარი მამის სახლს და მსწრაფლ ჩამოხდა ცხენიდან. აღელვებულისა და გაბრწყინვებულის სახით მიეგება მამას. ყველა დადუმდა. გმირმა დაბლა მოიხარა თავი მამის წინაშე და, როდესაც მამა მოეხვია და ააყენა, ჯაფარმა ჩუმად ჰკითხა:

— მამავ, დიდებული ვარ თუ არა?

— არა, ჩემო შვილო,—ყრუდ ჩასჩურჩულა მოხუცმა.

არავის გაუგონია ეს სიტყვები, მაგრამ ყველამ დაინახა, თუ როგორ მოეღრუბლა ჯაფარს სახე და მოადგა ცრემლები მის თვალებს, იმ თვალებს, რომელთა მეტყველება მტერს შიშსა ჰგვრიდა და უკუაქცევდა; ისიც შეჰნიშნეს, რომ თავდაღუნული მიუახლოვდა ცხენს, მოახტა და განაგრძო გზა მოღუშულმა და დაღონებულმა. აღარ ახარებდა ახლა აღარც ხალხის აღტაცება, აღარც ყვავილები, რითაც მისი სავალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა იყო მოფენილი. მალე გავრცელდა ხმა, რომ დიდებულ-ბ
წინამძღოლი, ნუგეში სამშობლოსი, სადღაც უჩინრად გაჰქრაო.

III

რამდენისამე წლის შემდეგ, აღმოსავლეთის ერთ დიდ სამეფოში აღმოჩნდა ახალგაზრდა ნასწავლი, რომელმაც სულ მოკლე ხანში გაითქვა სახელი შესანიშნავის ექიმბაშისა. პირზე ყველას მისი სახელი ეკერა. საშინელის სენით შეპყრობილი მეფე იმან მოარჩინა და სიკვდილს გადაარჩინა. ამბობდნენ კიდეცა, როდესაც მეფე მორჩა, ნება მისცა ექიმს, მომთხოვე, რა საჩუქარიც გინდა გულით, და მომირთმევიაო. ექიმმა მოსთხოვა მეფეს ნაწილი ხრიოკ უდაბნოსი. მოიგონა ახალი საშუალება მიწის რწყვისა და განაყოფიერებისა. მალე მწირი და უსიცოცხლო უდაბნო გარდააქცია ყვავილოვან წალკოტად და მისცა ხალხს შეძლება გამორჩენისა და მოსვენებით ცხოვრებისა. ხალხი წელში გასწორდა. თავზე ხელი მოისვა; ადიდებდა მხსნელს ჯაფარს და ბუნების მესაიდუმლედ მიაჩნდა. მაგრამ არავინ იცოდა, სადაური იყო ჯაფარი და ამიტომ ზეცით მოვლენილ მოციქულად სთვლიდნენ.

ერთხელ, ზაფხულის მყუდრო საღამოს, უბრალოდ ჩაცმული ახალგაზრდა კაცი შევიდა ქალაქ მოსულში. იპოვა მაჰომედ-ალის სასახლე და დააკაკუნა შესავალი კარები; როდესაც მოსამსახურემ გააღო კარი, ჭაბუკმა სახე წამოსასხამით მოიბურა და სთხოვა, სახლის პატრონთან მიმიყვანეო. მოსამსახურე არ აპირებდა საეჭვო უცნობის სახლში შეყვანას და მოიმიზეზა, სახლის პატრონს სძინავსო; მაგრამ ბოლოს დასთანხმდა ახალგაზდა კაცს მტკიცე თხოვნას და შეიყვანა მაჰომედ ალის ოთახში. ღრმად მოხუცებული მაჰომედ-ალი სარეცელს იყო წამოწოლილი და ყავას მიირთმევდა. უცნობი გაჩერდა კარებთან და ჩვეულებრივ თავმდაბალი სალამი მიართვა მოხუცს. იმის ხმაზე მოხუცი შეკრთა.

— ჯაფარ, შენა ხარ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე გახლავარ, — უპასუხა ჯაფარმა.

— სად იყავ აქამდის?—წამოიძახა მამამ და გამოეშურა შვილისაკენ.

— ვეძებდი დიდებას და, აი, ვიპოვე კიდეც. ხომ გაგიგონია წარჩინებული ექიმი, ავადმყოფი მეფე რომ სიკვდილს გადაარჩინა? ისიც ხომ გაგივია, რომ ერთმა ნასწავლმა ხრიოკი და მწირი უდაბნო ნაყოფიერ მიწად გადააქცია? ის მე ვიყავ. მოველი შენთან არა ამაოხრებელი ქვეყნისა, მომსვრელ მახვილით ხელში, არამედ განათლებისა და მშვიდობიანის ცხოვრების მღალადებელი. მთელი ხალხი ჩემს სახელს ადიდებს. მითხარ, გრწამს თუ არა ახლა ჩემი დიდება?

მოხუცმა ნაღვლიანად გადაჰხედა შვილს და ნელის ხმით, ხოლო მტკიცედ, უპასუხა:

— არა!

— არც ახლა! —წარმოსთქვა შვილმა, მამის პასუხით ზარ დაცემულმა; ღრმად ამოიოხრა, მდაბლად თავი დაუკრა მამას, გამოვიდა გარედ და ისევ გულდაკოდილმა მიატოვა სამშობლო ქალაქი.

IV

განვლო კიდევ რამდენმამე წელმა. აღმოსავლეთის ყველა ქალაქში დიდის აღტაცებით კითხულობდნენ ახალ მწერლის ლექსებს. სახელი ძველის მწერლებისა გაჰქრა და დაიჩრდილა მის წინაშე ისე, როგორც ვარსკვლავები მზის სინათლისაგან. ყველგან გატაცებით კითხულობდნენ და ქება-დიდებით იხსენიებდნენ ჯაფარის სახელს; ეისმა სახელმა სამშობლო ქალაქამდისაც მიაღწია.

მოსულის ხალიფამ გაიგო თუ არა ეს ამბავი, ბრძანა მოეძებნათ სახელოვანი მწერალი და მოეწვიათ სასახლის მგოსნად. მაგრამ ჯაფარი იმალებოდა და არავინ იცოდა, სად იყო და სად არა.

ერთხელ, დილით ადრე, მაჰომედ-ალის სასახლესთან მივიდა გამტვერიანებული, დაღლილ-დაქანცული ქვევითი კაცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯოხით ხელში. თუმცა ღარიბულად ეცვა და მისუსტებული სახე ჰქონდა, მოსამსახურეებმა მაინც იცნეს ჯაფარი. მიესალმნენ და შეიყვანეს ოთახში. აქ ჯაფარმა დაინახა, რომ მამა მხურვალედ ლოცულობდა კუთხეში. ჟამთა ვითარებას წელში მოეხარა მოხუცი და სახეც დანაოჭებოდა; მაჰომედ-ალიმ გადაჰხედა სიკეთითა და გონიერებით აღსავსე თვალებით და მიეგება შვილს ლოცვის გათავების შემდეგ. მოხუცს უნდოდა მოჰხვევნოდა, მაგრამ ჯაფარი დაემხო მუხლებზედ მამის წინაშე და მღელვარე ხმით ჰკითხა:

— აი, ისევ მოვედი შენთან, მამა ჩემო! წყურვილი განაჩენის მოსმენისა გულს მიწვავს. ჩემი ლექსები სულიერად ატკბობს და ნუგეშსა სცემს ყველას, მდიდარსა თუ ღარიბს. სახელი ჩემი საუკუნოდ დალოცვილია, ჩემი ნაწერები არ გაჰქრება და ჩემს შემდეგაც ისევე დაატკბობს ხალხს, როგორც ახლა ატკბობს. მითხარი, გწამს თუ არა ჩემი დიდება?

მოხუცმა ააყენა შვილი, მხურვალედ მოეხვია და წყნარად წარმოსთქვა:

— მენანები, შვილო, მაგრამ მაინც გეტყვი, რომ ვერ შეგიგნია ნამდვილი დიდება!

— არა, ვპოებ! —წამოიძახა ჯაფარმა.

— ის დიდებას ვერ იპოვის, ვისაც გულის თქმით უნდა მისი პოვნა, — შენიშნა მამამ.

თავ-დაღუნული ჯაფარი გამოვიდა სასახლიდან და ისევ მიიმალა მშობელ ქალაქიდან.

V

განვლო ხუთმა წელმა. ერთს მთვარიან ღამეს მოხუცი მაჰომედ-ალი გამოვიდა აივანზე. ნაღვლიანად უყურებდა ვარსკვლავებით მოკაშკაშე ცას. დაბლა დაიხედა და შეჰნიშნა ვიღაც ადამიანის ლანდი, რომელიც მიმოვიდოდა სასახლის წინ და ისე კრძალვით აფათურებდა კედლებზე ხელებს, თი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქოს ვისიმე ეშინიანო. მოხუცი დააკვირდა უცნობს და ნიშნა მის ტანზე დაძონძილი ტანისამოსი. მისმა ფეშმშველობამ და თავშიშვლობამ დაარწმუნა მაჰომედ-ალი, რომ მგზავრი იყო ვინმე მწირი მეუდაბნოე. მაშინ მოხუცი დაიხარა ძირს და გადასძახა:

— მწირო, გაბედვით დაარახუნე! ჩემი სახლი მუდამ ღიაა მგზავრისათვის,— დღისითაც და ღამითაც.

მწირს მოესმა ხმა თუ არა მოხუცისა, შეკრთა, აიხედა მაღლა, რომ დაენახა მოლაპარაკე.

მთვარის შუქზე მამამ მაინც იცნო მთლად მიმჭკნარი და მისუსტებული სახე თავის შვილისა.

— ჯაფარ, ჩემო შვილო!

— მამავ! —და მოისმა გულ ამოსკვნილი ქვითინი ჯაფარისა.— მამავ მომხედე: უარვყავ ყოველივე ამ ქვეყნიური: სიმდიდრე, დიდება, სახელი. ყოველივე ამაოა! კარგად შევიგენ ესა, და, აი, წაველ უდაბნოში და მხოლოდ ღმერთს ვანდობ ჩემს ფიქრსა და ზრახვას; იმას ვწირავ მთელს ჩემს სიცოცხლეს. ვმარხულობ, მუდამ ვლოცულობ, თავგანწირვით ვემსახურები ალლაჰს და მხოლოდ მისგან მოველი დიდების გვირგვინს. უარვყავ ამ ქვეყნიური პატივი და დიდება და შევიგნე, რომ ჩემის სიამაყის წყალობით უძლური და არარა ვიყავ, და ახლა მეძახიან წმინდანს და ყოველის კუთხიდან თავს იყრიან მოწაფენი ჩემს წინაშე. მაგრამ ყოველივე ეს არ მახარებს და მხოლოდ შენს სიტყვას ვერწმუნები. მითხარ, მამავ, მიგიხვდი თუ არა შენს აზრს? მივაღწიე თუ არა ნამდვილ დიდებას?

ჯაფარი დადუმდა და თრთოლვით ელოდა პასუხს. მოხუცმა მოწყენით გადაჰხედა შვილს და ბოლოს წარმოსთქვა: რად გინდა ჩემი მოწონება, ჩემო შვილო! სვინიდისი შენითვითონ გეუბნება, რომ შენ კიდევ ვერ გიპოვია გზა ნამდვილის დიდებისა, იმიტომ რომ ჯერ კიდევ ძლიერია სული შენის სიამაყისა და თვით მოყვარეობისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ პასუხმა ჯაფარს თავს ზარი დასცა, მიეყრდნო კედელს და ყრუდ ქვითინი დაიწყო. მოხუცი აჩქარებული დაეშვა აივნიდან ძირს, რომ შვილი სახლში შეეყვანა; მაგრამ როდესაც ქუჩაში გამოვიდა. ჯაფარი უკვე თვალთ მოეფარა.

(გაგრძელება იქნება *)

ელო შანშიაშვილი

*) იხილე „ნაკადულის“ მე-10 №.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევ ტოლსტოის
გარდაცვალებაზე.

ალტო რუსეთმა? მთელმა ქვეყანამ
დაკარგა მამა, თვისი აღმზრდელი,
ვინაც მოჰფინა ჩვენს გულ-გონებას
და ჩვენს ვნებათა უხვად ნათელი.

—

გაჩაღებულსა სულის ქურაზე
ახალს გრძნობასა და აზრსა სჭედდა.
ადამიანთა სულის შემხუთველს,
დაუცხრომელად ხუნდებსა ჰკვეთდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცდა, მაგრამ იმისი გული
ჭაბუკისაზე ძლიერად სცემდა.
მან სიყვარული ჰაერად შეჰქმნა,
რომ მას ჰსუნთქავდეს სულ-დგმული ყველა;
ამაში არი ჯოჯოხეთისა
სამოთხედ შექმნის საღსარი, შველა.
მაგრამ საიდან? როცა ჩვენს გულში
და გონებაში ჯერ ისევ ბნელა.

—

ეს მძლავრი სული, ზოგთაგან კრული,
მიმოჰქრის ეხლა ცათა სფეროში
და თავს აფარებს დასასვენებლად
თავის ღმერთისა კალთის ჩეროში...
ველარ იპოვოს მისებრი გვამი
რუსეთმა თავის სამფლობელოში!

—

დიდხანს და დიდხანს უნდა ლოდინი
კვლავ ამოუხდეს მას მზე ჩამქრალი;
დიდი დრო უნდა რუსეთის ერმა
შეიგნოს მისი მოძღვრების ძალი.
სულითამც იშვებს და გაიხარებს,
ვინც ჩვენს ცხოვრებას დაატყო კვალი,
კვალი ღრმა, დიდი, ვითა უფსკრული,
რომ იმის ფსკერსა ვერ სწვდება თვალი.
იქ აგროვია მარგალიტები,
აუარები ზურმუხტი, ლალი;
რომ ის მოჰხვეჭო არაფერს გარგებს
ხმალი და თოფი, ურიცხვი ჯარი.
ვინც სიყვარულით განისმჭვალება
იმას ეკუთვნის, იმისი არი!

ვაჟა-ფშაველა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლევ ტოლსტოი.

ნოემბრის 7-ს გარდაიცვალა რუსეთის მწერალი და ფილოსოფოსი ლევ ტოლსტოი. ლევ ტოლსტოი უკვე 83 წლის მოხუცი იყო. იმის გარდაცვალებამ დაალონა არა თუ მარტო რუსეთი, არამედ მთელი კაცობრიობის საუკეთესო მოაზრე ნაწილი. დაალონა იმიტომ რომ, ტოლსტოი იყო მეგობარი ამ კაცობრიობისა, ქომაგი და მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარულე დაჩაგრულ მოძმისა, დაუღალავი მძებნელი
მარიტებისა, რომელსაც შეუძლია მოუპოვოს ყველას ბედ-
ნიერება, შეჰქმნას კაცთა შორის თანასწორობა და სიყვარუ-
ლი. მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე, თავისი დიდი
ძლიერი ნიჭი ლევ ტოლსტოიმ ადამიანთა შორის სიყვარუ-
ლის და თანასწორობის განმტკიცება-დამკარებას მოახმარა.
ამისთანა ადამიანები ძვირფასია კაცობრიობისათვის და ამი-
ტომაც არის, რომ ენანება და დასტირის მას თავს; ტოლსტოის-
თანა კაცმა რომ ათჯერ მეტიც იცოცხლოს, კაცობრიობისა-
თვის მაინც ცოტა იქნება და მაინც იგლოვებს იმის ამ ქვეყ-
ნისაგან განშორებას. იგლოვებს რადგანაც ალარ არის ის
ადამიანი, რომელსაც ისეთის უნარით, ისეთის სიყვარულით,
ყურადღებით და დახმარების სურვილით შეეძლო გულში ჩა-
ხედვა, მიგნება ნამდვილ სულიერ სატკივრისა, ნუგეშისცემა
და შელავათის მიცემა ტანჯულ ადამიანისთვის, ვინც უნდა
ყოფილიყო—ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა.

სულით და გულით უყვარდა ტოლსტოის ბავშვები: თავის
სოფელ იასნაია პოლიანაში, სადაც დაიბადა და სცხოვრობ-
და ამ ბოლო დროსაც, ერთ დროს სკოლაც ჰქონდა ბავშვე-
ბისათვის გამართული და ასწავლიდა თითონ. მთელ თავის
სიცოცხლეში ბავშვებთან გატარებულ დროს, საუკეთესოდ
გატარებულ დროდ სთვლიდა.

დიდებული ადამიანი, დიდებული მოაზრე და ქომაგი
დაჩაგრულ მოძმეთა, ტოლსტოი ამ ბოლო დრომდის სცხოვ-
რობდა თავის მდიდარ ოჯახში და იტანჯებოდა ამ შეუფერე-
ბელ ცხოვრებით. იმ დროს, როცა ირგვლივ ხალხი შიმ-
შილს, სიცივეს და ათასგვარ უსამართლობა-გაჭირვებას განი-
ცდიდა, ტოლსტოი თავის ოჯახში ხედავდა ფუფუნებას, უქმ-
ბედნიერ ცხოვრებას და სწუხდა.

რამდენჯერმე განიზრახა და გადასწყვიტა განშორე-
ბოდა ამ ფუფუნებას და წასულიყო მ'ძრომელ ხალხთან და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაენაწილებინა იმათი სვე-ბედი, არა მარტო სიტყვით, არა-მედ საქმითაც, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზის გამო აქამდის ვერ მოიყვანა ეს სისრულეში და მხოლოდ 28 ოკდომბერს წავიდა თავის ოჯახიდან, თავის გულითადის სურვილის განსახორციელებლად. 83 წლის მოხუცი, მაგრამ სულით აღფრთოვანებული, მუდამ ახალგაზრდა, დაუღალავი ლევ ტოლსტოი წავიდა ახალ ცხოვრების დასაწყებად; იმ ცხოვრების, რომელიც შეჰქმნა თავის დიდებულ მოსიყვარულე გულში. წავიდა, მაგრამ იმის მოხუცმა სხეულმა ველარ გაუძლო მძაფრ ბუნების მოვლენას გაცივდა გზაში, ავად გახდა ფილტვების ანთებით და სადგურ ოსტაპოვოში (რიაზანის გბერნიაში) 7 ნოემბერს დილით გარდაიცვალა. იმის უკანასკნელი სიტყვები იყო მეგობრებისადმი, რომლებიც გარს ეხვივნენ ავადმყოფობის დროს: „რისთვის შეყრილხართ ყველანი ჩემთან, როცა ირგვლივ იმდენი უბედური ადამიანი იტანჯებაო.“ მხოლოდ ტოლსტოის შეუდარებელ მოსიყვარულე გულს შეეძლო სიკვდილის წამებში ამისთანა სიტყვების წარმოთქმა

სამწუხაროა ის, რომ ვერ განახორციელა თავის გულითადი საუკეთესო მისწრაფება. უნდა ვიგულისხმოთ, რომ იმის ცხოვრებაც ისეთი საყურადღებო, მშვენიერი და დიდებული იქნებოდა, როგორც იმის მწერლობა იყო. მაგრამ განა ამნაირი მისი გარდაცვალებაც იმის მომასწავებელი არ არის რომ საუკეთესო ჩვენი სურვილები და მისწრაფებანი არასოდეს არ უნდა დავიხშოთ გულში და სამერმისოდ არ გადადვათ, რომ მხოლოდ ამ საუკეთესო სურვილის, მოძმეთა სიკეთისათვის შრომის დაკმაყოფილებაში შეიძლება ადამიანმა იპოვოს სრული ბედნიერება?

ოცდა ორი წლისა იყო ტოლსტოი, როცა სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა. იმისი პირველი მოთხრობა იყო „ბავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვობა“, რომელიც მან დასწერა ჩვენს ქვეყანაში ყოფნისას
და რომელიც ერთ საუკეთესო მშვენიერ მოთხრობად ითვლება
იმის ნაწერებში. მას შემდეგ ტოლსტოის უკანასკნელ წუთამდი-
საც-კი კალამი არ დაუგდია ხელიდან. სიკვდილის წინადაც-კი,
როცა თითონ წერა აღარ შეეძლო, უკარნახებდა თავის აზ-
რებს სხვებს და აწერინებდა. სამასამდის სხვა და სხვა წიგნი,
მოთხრობანი, რომანი და ფილოსოფიური თხზულებანი აქვს
დაწერილი და დაბეჭდილი. ჯერ დაუბეჭდავი და გამოუქვე-
ყნებელიც ბევრი დარჩა. მთელის ქვეყნიერობის მოწინავე, მო-
აზრე ნაწილი გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს იმის მწერ-
ლობას და ანგარიშს უწევდა ტოლსტოის გამოთქმულ აზრს.
ყოველთვის საზოგადოებისათვის საყურადღებო საკითხებში
საზოგადო მოღვაწეები პირველად ყველა ქვეყნიდან ტოლს-
ტოის შეეკითხებოდნენ ხოლმე, ამა და ამ საკითხზე, რა აზრი-
სა ხართო.

ყველა განათლებულ ხალხთა ენაზეა ტოლსტოის თხზუ-
ლებები გადათარგმნილი. ქართულადაც არის, რასაკვირველია.
„ნაკადულის“ მკითხველები არა ერთხელ და ორჯელ უსია-
მოვნებია ტოლსტოის ნაწარმოების წაკითხვას.

ვისაც ერთხელაც არის მაინც უნახავს ლევ ტოლსტოი,
არასოდეს არ დაავიწყდება იმის ჭკვიანი თვალები, მოძრავი
სახე, კეთილი გაშუქებული ღიმილი, თანაგრძნობით სავსე
სიტყვები, რომლებიც საუკეთესო დამკვრელის თითებივით
ეხებოდნენ თქვენის გულის სიმებს და საუკეთესო გრძნობებს
და თვისებებს აღმოაცენებდნენ გულიდან. ამ დროს თქვენ
გრძნობდით, რომ ძლიერი ადამიანი ხართ ამ ქვეყნად და
შეგიძლიათ შეიტანოთ სიკეთე საერთო ცხოვრების ჰიმნში
და ბედნიერი იყოთ, მხოლოდ გახსოვდეს-კი, რომ საერთო
ბედნიერების გარეშე ბედნიერება არ არსებობს, თუნდაც შენ
ყელამდის ოქრო-ვერცხლით იყო სავსეო,—გეუბნებოდა ამ
დროს თქვენივე გული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი ასეთი ადამიანი, ასეთი ნუგეშის მცემელი და მასწავლებელი დაჰკარგა კაცობრიობამ.

9 ნოემბერს სად. ოსტაპოვოდან საგანგებო მატარებლით წაასვენეს და დაასაფლავეს იმის ცხედარი აუარებელი ხალხის თანდასწრებით იასნაია პოლიანაში, იმისი აზრი და მცნება დარჩა უკვდავი ადამიანთა შორის.

ნინო ნაკაშიძე.

ლევ ტოლსტოი და სოფლის ბავშვები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ძვის გაჩენა.

ბიგო ტფილისის ქართულ გიმნაზიაში სწავლობდა. სასწავლო წლის დამლევს ეგზამენი ჩინებულად დაიჭირა და მესამე კლასში გადავიდა. ამიტომ სოფელში ზაფხულს უფრო სიამოვნებით და მხიარულად ატარებდა თავის უფროს ძმა მიხასთან ერთად, რომელსაც იმავე გიმნაზიის კურსი უკვე დაესრულებინა და ახლა უმაღლეს სასწავლებელში წასვლას აპირებდა.

გიგოს სამშობლო სოფელს საღვინეთს ეძახდნენ; ეს სოფელი ერთ დიდ ხეობის ბოლოს იყო ვაკე ადგილზე გაშენებული. ირგვლივ საუცხოვო ბაღებით და ვენახებით იყო გარშემორტყმული. თვითონ ეს ხეობაც განთქმული იყო თავის სიკეკლუცითა და სილამაზით. სიგრძით დიდ მანძილზე იყო გაწოლილი მაღალ და კლდიან მთებშუა. თავიდან ბოლომდის მთელ ხეობას პატარა, მაგრამ სწრაფი და გიჟმაჟი მდინარე ჩამოურბენდა. მიხვეულ-მოხვეულ, ქვა-კლდიან კალაპოტში გველივით მიიკლაკნებოდა და აქეთ-იქით კალთებზე შეფენილ პატარა სოფლებს აცოცხლებდა და ახარებდა.

თითქმის მთელ ხეობაზე მდინარის პირად რკინის გზის ვიწრო ლიანდაგი გასდევდა. პატარა მატარებლების საშუა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებით ამ გზით ხეობიდან ხე-ტყეს ეზიდებოდნენ. ამ ტარებლებს დაჰყავდათ მგზავრები; ასე რომ სულ რაღაც ორისამის საათის განმავლობაში მთელის ხეობის ნახვა შეიძლებოდა. აი, ამ მატარებელში ჩასხდნენ ერთ მშვენიერ დილას მიხა და გიგო და გასწიეს ხეობის სანახავად.

მატარებელი ქშენით და რახრახით ჯერ ვაკე ადგილზე მდინარის შორი-ახლოს მიდიოდა; მდინარის კალაპოტი აქ უფრო ფართოდ გადაჭიმულიყო და წვრილის ქვით სულ მთლად მოჭედილი იყო. შორს კი მაღალი, კლდიანი მთები მოსჩანდა, რომლის მწვერვალებზედაც დილის მზის სხივები ნაზად, საამურად და თვალ-წარმტაცად ელვარებდა. მატარებელი მთებს დაუახლოვდა; რამდენიმე წამიც და შუა გაპობილ მთებ შუა გაძლიერებულის გუგუნით შეიჭრა. გიგოს აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა; მარჯვნივ და მარცხნივ თითქოს ცამდის ამაყად შემართულ ნაძვისა და ფიჭვის ტყით დაბურული მთის კალთები, კლდის ნაპრალებიდან გადმოწოლილ მიწიდან გადმოკიდული კლდის დიდი ნაჭრები, რომლებიც თითქოს საცაა მოსწყდება და მატარებელს დაეცემაო, მატარებლის გაძლიერებული გუგუნი, რომელიც გალმა-გამოლმა ყრუ გამოძახილს იწვევდა, მდინარის განუწყვეტელი შუილი, რომელიც თავის წმინდა წყალს ქვიდან ქვაზე აწყვეტებდა და შემდეგ ქაფ-მორეული თავქვე გაბრაზებული მიექანებოდა. გიგო მთლად სმენადა და ცქერად იყო გადაქცეული. მის თვალწინ სულ ახალ-ახალი, ერთი მეორეზე ლამაზი და კეკლუცი სურათები იშლებოდა, ჰქრებოდა, იშლებოდა, ჰქრებოდა. ხეობის ვიწრო სათავეს მიაღწიეს. აქ მატარებელი გაჩერდა; გიგო ახლა კი გამოერკვა. მუშები გამოვიდნენ და ლიანდაგის აქეთ-იქით დაწყობილ გათლილ დიდ ხეებს დაუწყეს პატარა ვაგონეტებზე დალაგება. გიგო და მიხა-კი თავ-დალმა ტყეში დაჰქანდნენ და მდინარის ნაპირს ჩავიდნენ. ერთხანს მდუმარებდნენ და, გარინდულ ტყის იდუმალებით აღტაცებულნი, ირგვლივ ყურადღებით იცქირებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიგო დაჟინებით დააშტერდა პირდაპირ მდინარეს. ბალ-ბალ-ბალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს, თითქოს საგანგებოდ, ზევიდან მოსწყდა კლდის ვეებერთელა ნაჩეხი, საშინელის სისწრაფით და რახრახით წამოვიდა ქვევით, რამდენსამე ნაჭრად დასკდა და რახა-რუხით ძირს ხევში ჩაიშალა.

გიგოს, ცოტა არ იყოს, შეეშინდა, უნებურად ძმას მოეხვია.

— აგერ, ესეც ჩემის ნათქვამის დასამტკიცებელი საბუთი, საგანგებო მაგალითი,—ღიმილით წამოიძახა გახარებულმა მიხამ და ძმას იქითკენ მიუთითა.

— მაშ, სიპ ქვას და კენჭებს ასეთი მთა იძლევა?!. მე როგორღაც არა მჯერა, მიხა,—ცოტა ხანს შემდეგ შეეკითხა გიგო.

— მაშ, შენ როგორა გგონია, ჩემო გიგო; სიპი ქვაცა და აუარებელი კენჭებიც კლდიან მთის შვილებია; ასეთ ადგილას არიან დაბადებულნი. გიამბობ, როგორ იბადებიან: დიდის წვიმის დროს მთის, აი, იმ ნაპრალებში მოსკდება ხოლმე დიდი ნიაღვრები, რომელიც დარუებული ღრიანცელით მოშუის დაღარულ სადინელში. ამღვრეული, ატალახებული და ქაფ-მოგდებული მორბის თავ-დაღმა და თან მოაქვს ყველაფერი, რაც-კი გზაზე ეღობება. ყველა ეს ნიაღვრები აქეთ-იქიდან, აი, ამ საერთო სადინელში გროვდება, რომელშიც ახლა ეს პაწია მდინარე მიჩხრიალობს. ყველაზე უფრო მრავლად ეს ნიაღვრები სხვა და სხვა სიდიდის კლდის ნაჩეხებს ამიეზიდება, და ერთი-მეორის შეხლა-შემოხლით, შეჯახ-შემოჯახებით და რახა-რუხით მოახტუნებს, მოაგორებს. და, აი, ამ შეხლა-შემოხლის ერთი მეორეზე და კლდიან კალაპოტზე ხახუნის დროს მწვეტიანი და თხელი ნაპირები ემსხვრევა, თანდათან ილესება. ლიპდება, მაგრდება და მომეტებულ შემთხვევაში მრგვალდება...

ამ დროს გაისმა მატარებლის ჭყივილი, რომელსაც აქეთ-იქიდან მთები თავისებურ გამოძახილით გამოეპასუხა. მიხამ და გიგომ ყურები სცქვიტეს. „არიქა, არ გაგვასწროს, ჩქარა გავიქცეთ“, შესძახა მიხამ და ორივემ მოჰკურცხლეს. მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შებს უზარმაზარ ხეებით უკვე დაეტვირთათ ვაგონები. ... შემსხდარიყვნენ და ლაზღანდარობდნენ, მიხამ და გიგომ ქასქასით მიირბინეს, ის იყო დაუსხდნენ და თავ-დაღმა დაქანდა მატარებელიც.

— ჰო და იმას გეუბნებოდი, ჩემო გიგო,—კვლავ განაგრძო მიხამ,—რომ ნიაღვრისაგან აგორებული კლდის ნაჩეხები ერთმანეთზე და კლდიან კალაპოტზე ხახუნით თანდათან სიპ ქვებად და წვრილ კენჭებად იქცევა. აი, ის დიდი ლოდები, ხომ ჰხედავ, აქა-იქ რომ ჰყრია, აი, ის ლოდებიც კლდისავე ნაჩეხებია, რომელიც აზვირთებულ და აღვართქაფებულ წყალს თავ-დაღმა უგორებია, უგორებია, მაგრამ ბოლოს ველარ მორევია და სათავეშივე დაურჩენია. ასეთი ლოდები კლდესაც ჰგავს და ქვასაც ემგზავსება, ერთის სიტყვით, ქვა-კლდეს წარმოადგენს. ქვევით და ქვევით-კი, აბა, დააკვირდი, გიგო, ეს ლოდები უფრო ჰატარავდება და თანდათან ნამდვილ ქვის სახეს იღებს. წვრილი ქვა და ქვიშა-კი სულ ქვევით მიაქვს წყალს, რადგანაც უფრო მსუბუქად მიეზიდება.

მატარებელი ვიწრო ხეობიდან გამოდიოდა. დიდი ლოდები ზევით ხეობაში დარჩა; ახლა აქა-იქ იშვიათად ხვდებათ. სამაგიეროდ, საშუალო სიდიდის ქვა მრავლად იყო მოფენილი.

— მე მაინც როგორღაც არა მჯერა, მიხა; მე ვფიქრობ, რომ ქვები თავის თავად უნდა იყოს გაჩენილი და არა კლდის ნაჭრებიდან; ეს იქიდანაცა სჩანს, რომ ქვა მაგარია და მძიმე, კლდე-კი უფრო რბილი, მსუბუქი და ფხვიერი,—ეჭვითა სთქვა გიგომ. მიხას სიამოვნებით სახეზე ნათელი გადასდიოდა, თვალები გაბრწყინებოდა და ხეობის მსუბუქ ჰაერს ხარბად ისუნთქებდა.

— მართალია, კლდესა და ქვას შუა აგრეთი განსხვავება არსებობს, მაგრამ ეს იმას არ ამტკიცებს, ვითომ ქვა თავის თავად იყოს გაჩენილი და არა კლდიდან. ფხვიერ და ნაშალ კლდის ნაჭრებს წყალი ალბობს, რეცხავს, შლის, რი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაც ის იმღვრევა; წყალი მიწასთან ერთად არეულს ყვითელ ამას ქვევით მიაქანებს. აგერ მდინარის ნაპირებზე რომ ყვითლად დალამული ტალახი მოსჩანს, ის დაშლილი, წყალში გახსნილი ყვითელი კლდეა.

— მე რომ შავი ლამიც მინახავს? მაშ, ისიც ყვითელ კლდისაგან არის?—სიტყვა გააწყვეტინა გიგომ.

— შავი ლამი შავის კლდისა და მიწისაგან წარმოსდგება; არის თეთრი ლამიც, რომელიც თეთრ კლდის და თეთრსავე მიწისაგან შესდგება. ასე რომ სხვა და სხვანაირი ლამი და თვითონ წყლის სხვა და სხვა ფრად ამღვრევა დამოკიდებულია იმ ერთი მეორისაგან განსხვავებულ კლდეებსა და ნიადაგზე, რომელზედაც მორბის და რეცხავს მდინარე. ამის გამოა განსხვავება თვით ქვებ შორის, რომლებიც ათასფეროვანია. ჰო, და ნაშალი კლდე წყალში ლამად იხსნება, მაგარი ნატეხები-კი ერთი მეორეზე შეხლა-შემოხლით უფროც მაგრდება და ამნაირად ქვებად იქცევა.

— მაშ, იქ საიდან-ღა გაჩნდა ქვა, სადაც მდინარე არ არის? შეეკითხა გიგო.

— სადაც ახლა ქვა მრავლად ჰყრია და მდინარე-კი არ არის, ეგ იმას მოწმობს, რომ წინად ოდესღაც ასეთ ალაგას მდინარე მოდენილა, ზევით ხეობიდან კლდე-ღრე უზიდნია და სიპი ქვები მრავლად მოუფენია,—უპასუხა მიხამ.

— ქვა როგორღა იზრდება, რად იზრდება; მე გამიგონია, წყალსა და მიწაში ქვა იზრდებაო; მხოლოდ, თუ ადამიანმა თვალი მოჰკრა, ის აღარ გაიზრდებაო,—კვლავ ააწყვეტინა ლაპარაკი გიგომ და ცნობის მოყვარე თვალები ძმას სიყვარულით შეანათა.

— ეგ ტყუილი გაგიგონია, ჩემო კარგო,—ღიმილით უპასუხა მიხამ,—ქვა არ იზრდება და არც შეიძლება რომ გაიზარდოს; ის ხომ ორგანიული საგანი, ან სულიერი არსება არ არის. ქვა, როგორც სხვა არა ორგანიული, უსულო საგანი, შეიძლება დაიმტვრეს, დაიწვას, დაიშალოს და ნაცრად

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქცეს, მხოლოდ მისი ზრდა-კი წარმოუდგენელია. ბუნებრივ-ად ... ...



სინათლე და მისი მნიშვნელობა.

(შემდეგი *)

ჯერ ჩვენ გავიცანით ის სხივები, რომლებიც მთავარ-ღერძის პარალელურად ხვდებიან ლუპას. ამათში გამოერევა, რასაკვირველია, ისეთი სხივიც, რომელიც მთავარ ღერძზედ გაივლის. ამგვარ სხივს ის თვისება აქვს, რომ არ იღუნება და პირდაპირ გადის ლუპის მეორე მხარეს. ამას გარდა, სხივები არა პარალელურად, დახრილადაც შედიან ლუპაში, და ზოგი იმათგანი ოპტიკურ ცენტრში გაივლის. ის დახრილად წამოსული სხივიც, რომელიც ოპტიკურ ცენტრში გადის, არ იღუნება მზგავსად იმისა, როგორც მთავარ ღერძზედ მიმავალი სხივი არ იმრუდებს გზას. ასეთ სხივს უწოდებენ გვერდის ღერძზედ მიმავალ სხივს, რადგანაც იმ ხაზს, რომელიც ასევე დახრილად გადის ლუპის ოპტიკურ ცენტრში, ჰქვია გვერდის ოპტიკური ღერძი, და სხივსაც ამ უკანასკნელზედ უძევს გზა (სურათი 9). როდესაც განათებულ საგნის, მაგალითად სანთლის ალის, ერთი წერტილის სხივები—ერთი პარალელურ მთავარ ღერძის **აბ** და მეორე გვერდის ოპტიკურ ღერძზედ წარმართული (მაშასადამე, არა პარალლე-



სურათი 9.

*) იხილე „ნაკადული“ № 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური მთავარ ღერძისა) **ად**—გამოვლენ ლუპიდან, პირველი, ესე იგი პარალლელური, ფოკუსში გაივლის, მთავარ ღერძს ჩაშორდება და შეხვდება გვერდის ღერძზე მიმავალ სხივს (სურ. 10) აქ ისინი ერთმანეთს გადაესკვნებიან, გადასჭრიან



სურათი 10.

ერთმანეთს და შემდეგ ცალკ-ცალკე განაგრძობენ გზას. იმ ადგილას, სადაც აღნიშნული სხივები ერთმანეთს გადასჭრიან, მარცხნივ მყოფი თვალი, გაშლილ სხივების გავლენით, დაინახავს სანთლის ალის ზევითა წერტილს **ა**. ავიღოთ ახლა ქვედა ნაწილი სანთლისა **ბ**. და მოვიქცეთ ისე, როგორც ზევით, ესე იგი წარმოვიდგინოთ ამ წერტილიდან ერთი მთავარი ღერძის პარალლელურად მიმავალი სხივი **ბე** და მეორე გვერდის ოპტიკურ ღერძზე **ბზ**. პირველი იმათგანი გაივლის ფოკუსში და წავა ზევით, მეორე-კი არ გაიღუნება და შეხვდება პირველს. იქ თვალი დაინახავს ალის ქვედა ნაწილს **ბ**. ამგვარადვე შეგვიძლიან მივიღოთ ალის შუა ნაწილების (წერტილების) გამოხატულებაც და შევადგინოთ მთელი მისი სურათი. როგორც სურათზე სჩანს, ჩვენ ამ შემთხვევაში მივიღეთ თავუკუღმა გადაბრუნებული გამოხატულება სანთლისა და ამასთანავე დაპატარავებული. თუ გავზომავთ სანთლის და მისი გამოხატულების მანძილს ლუპის ცენტრამდის, დავრწმუნდებით, რომ სანთელი იმყოფება ფოკუსის ორკეც მანძილს იქით, ესე იგი იმ მანძილს იქით, რომელიც ორჯერ უფრო შორს ახლავს ლუპის ცენტრს, სანამ ფოკუსი (სურ. 10 და 11), და მისი გამოხატულება-კი ფოკუსსა და მის ორკეც მანძილს შუა.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მივიღებთ გადატრიალებულს და გადიდებულ გამოხატულებას საგნისას, გადაბრუნებულს და გაუდიდებულს, ე. ი. თვითონ საგნის ოდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნას, ან პირდაპირს და გადიდებელს, და არის კიდევ ისეთი შემთხვევაც, როდესაც სრულიადაც ვერ მივიღებთ ლუპაში გამოხატულებას,—ყველა ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მანძილია ლუპასა და საგანს შორის.



სურათი 11.

გადიდებულ თავუკულმა გამოხატულებას მივიღებთ იმ შემთხვევაში, თუ საგანი მოვათავსეთ მთავარ ფოკუსსა და ფოკუსის ორკეც მანძილს შუა. ამის და ყველა შემდეგის ასახსნელად უნდა გამოვიყენოთ იგივე სხივები პარალლელური და გვერდის ღერძზე წარმართული [1]) და იგივე მსჯელობა, რითაც ზევით ვხელმძღვანელობდით. მაშ, ავიღოთ საგანი და მოვათავსოთ მთავარ ფოკუსსა და მის ორკეც მანძილს შუა (სურათი 12). ხატვის გასაადვილებლად ვიხმაროთ ისარი, რომლის წვერიც მის ზევითა ნაწილს გვიჩვენებს. ეს გამოხატულება გაკეთდა, როგორც სურათზე სჩანს, ფოკუსის ორკეც მანძილს იქეთ.



სურ. 12.

დავაყენოთ ახლა საგანი ფოკუსის ორკეც მანძილზე (სურ. 13). ლუპის მარცხნივ მივიღებთ იმავე მანძილზე და იმავე სიდიდის გამოხატულებას, როგორც თვითონ საგანია, მხოლოდ გადაბრუნებულს.



სურათი 13.

თუ მთავარ ფოკუსში დავაყენეთ საგანი (სურათი 14), მაშინ გამოხატულებას სრულიადაც ვერ მივიღებთ, რადგანაც ამ შემთხვევაში ამ მიზნისათვის აღებული სხივები პარალლე-

[1]) ამ სხივებს იმიტომ ვირჩევთ, რომ იმათი მიმართულება ლუპაში გავლის შემდეგ ჩვენ დანამდვილებით ვიცით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლურად მიდიან (პარალლელურია **ად** და **ბგ**, აგრეთვე **ვვ** და **ზთ**) და ერთმანეთს სრულიადაც არ უახლოვდებიან, — მაშასადამე ისინი ერთმანეთს ვერსად ვერ გადასჭრიან და ამის გამო თვალიც ვერასფერს დაინახავს.



სურ. 14

დაგვრჩა კიდევ ერთი მანძილი, რომელზედაც შეგვიძლია მოვათავსოთ საგანი. ეს არის ადგილი ლუპასა და მთავარ ფოკუსს შორის (სურათი 15). პარალლელური სხივი, მთავარ ფოკუსში გავლის შემდეგ, და გვერდის ღერძზე მდებარე სხივი ზევითაც და ქვეითაც გაშლილად მიდიან **ბე** და **დვ**, აგრეთვე **გზ** და **ათ**, — ისინი თანდათან უფრო შორდებიან ერთმანეთს და ამის გამო ლუპის მარცხნივ საგნის გამოხატულებას ვერ მოგვცემენ. მაგრამ, თუ განვაგრძობთ იმათ ლუპის მარჯვნივ, ამ მხარეზე ისინი ერთმანეთს გადასჭრიან და ლუპის მარცხნივ მყოფი თვალი დაინახავს საგნის გადიდებულ და პირდაპირ გამოხატულებას ლუპის იმავე მხარეზე, სადაც თვითონ საგანია (სურათზე სხივების მიმართულების გაგრძელება წერტილებითაა ნაჩვენები).



სურათი 15.

სხვა და სხვა გამოხატულებათა მისაღებ ცდათა მოხდენა ადვილად შეიძლება (უმჯობესია ბნელ ოთახში), თუ გაქვსთ ლუპა, რომლის შეძენაც საჭიროა ყოველ ცოდნის მოყვარე კაცისთვის, მით უმეტეს რომ ძალიან იაფია. ყველაზედ უწინ დაგჭირდებათ მთავარ ფოკუსის მონახვა, რომელსაც ასე იპოვნით: მიუშვირეთ ერთის გვერდით ლუპა მზის პირდაპირ სხივებს (მზის სხივებს პარალლელური მიმართულება აქვსთ დაახლოვებით) და მეორე მხრივ მიუახლოვეთ მას ნელ-ნელა ქაღალდი. ერთ ადგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლას ლუპის ახლოს თქვენ შეამჩნევთ ძლიერ განათებულ წერტილს — აქ იქნება დაახლოვებით მთავარი ფოკუსი. დადგით ლუპა მაგიდაზედ და დანიშნეთ მთავარ ფოკუსის მანძილი ლუპის მეორე მხარეზედ. გაზომეთ ორი ასეთი სიგრძის მანძილი და ისიც დანიშნეთ — ეს იქნება ფოკუსის ორკეცი მანძილი. შემდეგ აიღეთ ანთებული სანთელი და მოათავსეთ ყველა ზევით ნახსენებ მანძილზედ რიგ-რიგობით. ლუპის მეორე მხარეზედ დაიჭირეთ შესაფერ მანძილზედ — იქ სადაც ზემოდ ნათქვამისამებრ უნდა მიიღოთ გამოხატულება, ქაღალდი ან წიგნი (ამ გვარ ასაფარ საგანს ჰქვია ეკრანი). მაშინ ზევით მოყვანილ ცნობების სინამდვილეს ნათლად დაინახავთ. ყველა სურათის რიცხვი შეადგენს ოთხს, მაგრამ თქვენ მხოლოდ სამს მიიღებთ ეკრანზედ. ეკრანზედ მიღება შეუძლებელია იმ მეოთხესი, რომელიც საგნის მხარეზედ კეთდება, და ამის გამო მას დაარქვეს ცრუ, არა ნამდვილი, ყოველ დანარჩენს კი — ნამდვილი გამოხატულება.

ცდა უფრო გაგიადვილდებათ, თუ იშოვით სპეციალურად ამ მიზნისათვის მომზადებულს ან განგებ გააკეთებინებთ სახაზავივით ვიწრო ფიცარზედ, თანასწორ ნაწილებად დახაზულზედ, მოთავსებულ ეკრანს ა, ლუპას ბ და სასანთლეს გ (სურ. 16), რომლების გაწევ-გამოწევა და აწევ-დაწევა ადვილად შეიძლება. შეგიძლიანთ აგრედვე აიღოთ ლუპა და სხვა და სხვა სიშორიდან გაჰხედოთ საგანს, რომელსაც დაინახავთ, ზევით ნათქვამის თანახმად, სიდიდისა და სისწორის შეცვლით.



სურ. 16.

ლუპას მის ასეთის თვისებების გამო ხმარობენ მცირე საგნების დასანახავად (მცენარეების ნაწილების გასარჩევად, წვრილ ნაწერის წასაკითხავად და სხ.) და მაშინ მას უბრალო მიკროსკოპს უწოდებენ. ამ შემთხვევაში საგანი უნდა იყოს მოთავსებული ლუპასა და ფოკუსს შორის (სურ. 15).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება კიდევ ორი ლუპა დავაყენოთ ერთი-მეორისგან ისეთ მანძილზედ, რომ გადიდებული გამოხატულება ხელმეორედ გავადიდოთ, რის გამოც პატარა საგნები კიდევ უფრო დიდად გამოჩნდება, მაშინ ჩვენ გვექნება რთული მიკროსკოპი. იხმარება ლუპა აგრედვე სურათების გადასაღებად ფოტოგრაფიაში და, სხვა ოპტიკურ შუშებთან და სარკეებთან ერთად, სურათების გამადიდებელ ფარანში, შორეულ საგნების დასანახავ აპპარატებში — ბინოკლში, ტელესკოპში და სხვა.

ამ აპპარატებმა დაუფასებელი სარგებლობა მოუტანეს ადამიანის ცოდნას, მის გონებრივ განვითარებას და კეთილ დღეობას. ვის არ უგვრძნია განცვიფრება და სიამოვნება, როდესაც შორს საჭვრეტ ლულის შემწეობით შორეული საგნები დაუნახავს ახლოს და გარკვევით; ვის არ აინტერესებს ფოტოგრაფიული აპპარატი, როდესაც რაღაც ბნელ ყუთის კედელში მოთავსებულ შუშის შემწეობით ვიღებთ ნამდვილ სურათებს საგნებისას და მათ შორის ჩვენსასაც! მაგრამ რა შესადარებელია ასეთი განცვიფრება და სიამოვნება იმ გასაოცარ და დაუფასებელ სამსახურთან, რომელსაც კაცობრიობას უწევს მიკროსკოპი და ასტრონომიული აპპარატები! მიკროსკოპის შემწეობით ადამიანმა შეისწავლა მცენარეების და ცხოველების (მაშასადამე თავის საკუთარისაც) ორგანიზმის ქსოვილები და მათის ცხოვრების კანონები, დაინახა და გაიცნო უბრალო თვალით უხილავი სხეულები — მიკროორგანიზმები. ციებისა, ჭლექისა, ხოლერისა და ბევრ სხვა ავადმყოფობის მიზეზი თვალით უხილავი მიკროორგანიზმებია, და, რომ მიკროსკოპი არ იყოს, ვერც მათ გაიცნობდა და შეისწავლიდა ადამიანი და, მაშასადამე, ვერც იმ ბრძოლას გაუწევდა, რითაც ამაყობს დღეს თანამედროვე მედიცინა. მიკროსკოპის შემწეობით გაიცნო კაცმა ისეთი მიკროორგანიზმებიც, რომლებსაც მისთვის დიდი სარგებლობა მოაქვს, მაგალითად ღვინის დულილის, კეფირის, მაწვნის, ძმრის გამჩენი სოკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ები, და ისინიც ვამოიყენა ცხოვრებაში. [1]) ამავე დროს მიკროორგანიზმების შესწავლამ შეადგენინა კაცს უტყუარი წარმოდგენა ნივთიერებათა ცვლილების ზოგიერთ პროცესზედ და გააფართოვა მისი ფილოსოფიური მხედველობის წრე; ახალმა მეცნიერებამ—ბაკტერიოლოგიამ გამოაცვლევინა ადამიანს მისი ცრუმორწმუნე წარმოდგენა თვით ავადმყოფობის შესახებ: დღეს განათლებული კაცი აღარ ხსნის ავადმყოფობას ღვთის რისხვით, ეშმაკისა და სხვა უცნობ ძალთა გავლენით, ძველებურ უგუნურ შელოცვისა და შესაწირავის ნაცვლად, მიმართავს ხოლმე ნამდვილ შესაფერ იარაღს—თავის მოვლას და წამლობას.

ი. მოსეშვილი.

(შემდეგი იქნება)



[1]) ამ საინტერესო ფაქტებს ცალკე წერილით გავაცნობ მკითხველს.

მითოლოგია

ტროადის ომი

ბრძოლის განახლება.

ტროადელების მთავარსარდალმა, მოისმინა თუ არა ღმერთების მთავარის ბრძანება, დაუყოვნებლივ ბრძოლის ველისაკენ გაემართა. ძლევა-მოსილი ჰექტორი ელვასავით თავს დასტრიალებდა ტროადელების რაზმებს და თვითოეულ მეომარს გულში გამარჯვების იმედს უნერგავდა. ჰექტორს ღრმად სწამდა ღმერთების მამათ მთავარის ზევსის სიტყვები და კიდევაც ამიტომ ასე გაბედულად ეტანებოდა ბრძოლის ველს და სამკვდრო-სასიცოცხლოდ რაზმავდა თავის ძლევა-მოსილ ჯარს.

ტროადელები და აქაველები კვლავ ერთი მეორეს თავდავიწყებით შეეჯახნენ. ასტყდა საზარელი ომი. დედამიწა ერთიანად ზანზარებდა. სისხლის ნიაღვრებმა მორწყო ბრძოლის ველი; მაინც ორივე მოსისხლე მტერი იარაღს ხელს არ აშორებდა და თავდავიწყებით ერთი მეორეზედ იერიშით მიდიოდა. ელლინთა მთავარსარდალი აგამემნონი გააფთრებულ ლომივით მძვინვარებდა ბრძოლის ველზედ და მუსრს ავლებდა ტროადელების ჯარის კაცებს. ტროადელების ძლევა-მოსილი მთავარსარდალიც არა ნაკლების სიმამაცით იბრძოდა და თავგამოდებულ მოსისხლე მტერს მამაცურად უმკლავდებოდა. საშინელებას განიცდიდა ბრძოლის ველი: ყველგან გმინვა და მწუხარება, ყველგან ვაება და თავგანწირული სიკვდილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქაველების გმირთა გმირის მძვინვარებას საზღვარი არა ჰქონდა, იგი შეუბრალებლად ჰგმირავდა ტროადელების მეომრებს და სამუდამოდ სიცოცხლეს ასალმებდა. ანტენორის ძლევა-მოსილმა შვილმა იფიდამასმა ვერ მოითმინა ტროადელთა მეომრების ასე განადგურება და იშვიათის გაბედულობით ხელჩართულ ომში შეებრძოლა ელლინთა მთავარსარდალს აგამემნონს. მცირედის შებრძოლების შემდეგ, აქაველების მთავარ-სარდალმა სასიკვდილოდ განგმირა ტროადელების სასახელო და თავგანწირული გმირი იფიდამასი. გამძვინვარებული აგამემნონი, ის იყო, იარაღს ხსნიდა სასიკვდილოდ დაჭრილს იფიდამასს, რომ სრულიად მოულოდნელად თავს დაეცა აქაველების მთავარ-სარდალს იფიდამასის ძმა კოონი და ისრით დასჭრა იდაყვ ზემოთ ძლევა-მოსილი აქაველთა გმირთა გმირი. სისხლმა ნაკადულებრ გადმოსჩქეფა აგამემნონს ჭრილობიდან, მაგრამ მან იარაღი ხელიდან მაინც არ გააგდო და ისევ გმირულად გამოსდგა უკან კოონს. აგამემნონმა კოონიც სასიკვდილოდ დასჭრა ისრით. აქაველების მთავარსარდალი ისევ ძველებურის სიმამაცით იბრძოდა და ტროადელების რაზმებს მუსრს ავლებდა. როცა ჭრილობას ცოტათი პირი შეუშრა, აგამემნონმა მხოლოდ ახლა იგრძნო მწარე ტკივილები. ჭრილობა ისე მძლავრად აწუხებდა, რომ ბრძოლის ველზედ დარჩენა შეუძლებელი იყო. ამიტომ ელლინთა გმირთა გმირი დაუყონებლივ ჩაჯდა თავის სამხედრო ეტლში და ხომალდებისაკენ გაეშურა.

დაინახა თუ არა ტროადელების მთავარსარდალმა ჰექტორმა, რომ აგამემნონმა უკვე დასტოვა ბრძოლის ველი, თანხმად ღმერთების მამათმთავრის ზევსის სურვილისა, თავდავიწყებით გაილაშქრა მტრის წინააღმდეგ. ჰექტორის ბასრი ხმალი შეუბრალებლად ჰგმირავდა ელლინთა მეომრებს. მთავარ სარდალის სიმამაცემ ტროადელების მეომრებიც გაამხნევა. ორივე მოწინააღმდეგე მტერი სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებრძოლნენ ერთი მეორეს საბოლოოდ გასანადგუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებლად. უმთავარსარდლოთ დარჩენილი ელლინთა მხედრობა მეტად ცუდ მდგომარეობას განიცდიდა. ტროადელები თავდავიწყებით მიიწევდნენ ელლინთა რაზმების წინააღმდეგ და თითქმის ყველა თვალსაჩინო საფრებს და სიმაგრეებს ხელიდან აცლიდნენ. ელლინთა მხედრობა შეკრთა და შეშფოთდა. იგი თან და თან უთმობდა ბრძოლის ველს ტროადელებს და ხომალდებისაკენ მიიწევდა.

სწორედ იმ დროს, როცა ელლინთა მხედრობა მიუახლოვდა თავის ხომალდებს, ღმერთების მამათმთავარი ზევსი იდის მთაგრეხილზედ იჯდა და დაჰყურებდა ბრძოლის ველს. ზევსმა ახლა კი გადასწყვიტა, რომ ორივე მოწინააღმდეგე მხარე მხოლოდ თავიანთ ძალებს დამყარებოდა და თვითონ არავითარი მონაწილეობა არ მიეღო ომის ასე თუ ისე ბედის გადასაწყვეტად. მართლაც, ზევსმა თავის გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანა: მან თავისი ღვთაებრივი თვალები მოაშორა ბრძოლის ველს და ტკბილსა და ღრმა ძილს მიეცა.

ტროადელთა და ელლინთა რაზმები ისევ თავდავიწყებით ერთი მეორეს ეხლებოდნენ და სამკვდრო-სასიცოცხლოდ ერთი მეორეს არა ჰზოგავდნენ.

ტროადელებს ისევ ძველებურად იერიში იერიშზედ მიჰქონდათ და გამარჯვების იმედს გულში მხნედ ატარებდნენ. ზღვათა მბრძანებელს დიდებულს ღმერთს პოსეიდონს შეეცოდა ელლინთა რაზმები და გადასწყვიტა მიშველებოდა ამ უკიდურეს დროს მოსისხლე მტრის მოსაგერებლად. პოსეიდონ ღმერთმა დაუყონებლივ შეაბმევინა ოქროს ეტლში თავისი ფეხ-მალი ოქროს ფაფრიანი ცხენები და ბრძოლის ველისაკენ გაეშურა. მიაღწია თუ არა ზღვათა მბრძანებელმა ბრძოლის ველს, დაუყონებლივ მკითხავის კალხასის სახე მიიღო და აქაველების მეომრებთან ერთად ჰექტორისა და ტროადელების წინააღმდეგ გაილაშქრა.

ელლინთა მხედრობის მთავარ-სარდლებმა უმალვე იცნეს პოსეიდონ ღმერთი და ამიტომ მისის გამხნევებით უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო მეტის გაბედულობით და სიმამაცით შეებრძოლნენ მტერს. ტროადელების რაზმები პოსეიდონ ღმერთის ბრძოლის ველზედ გამოსვლისთანავე შეშფოთდნენ და მტერს ზურგი შეაქციეს. ელლინთა მხედრობა ყიჟინითა და ზეიმით კვალ და კვალ გამოუდგა უკუქცეულ ტროადელებს და გზა და გზა შეუბრალებლად მუსრს ავლებდა მოსისხლე მტერს.

სწორედ ამ დროს ღმერთების მამათმთავარს, რომელიც ტკბილად განისვენებდა იდის მთაგრეხილზედ, გამოეღვიძა. ზევსი მეტად განრისხდა, როცა ბრძოლის ველზედ პოსეიდონ ღმერთი დაინახა. ღმერთების მამათმთავარმა დაუყოვნებლივ თავისი შიკრიკი ირისი გაუგზავნა პოსეიდონს და ბრძოლაში მონაწილეობის მიღება სასტიკად აღუკრძალა. პოსეიდონს მეტად ეწყინა ზევსისა ასეთი განკარკულება, მაგრამ ძალა უნებურად უნდა დამორჩილებოდა.

ღმერთების მამათმთავარმა ამის შემდეგ ბრძოლის ველზედ დაუყოვნებლივ გაგზავნა აპოლლონ ღმერთი და დაავალა ტროადელებისათვის დახმარება აღმოეჩინა.

ტროადელების მხედრობას ბედმა გაუღიმა, როცა აპოლლონ ღმერთი ბრძოლის ველზედ გამოჩნდა. ძლევა-მოსილი ტროადელების მთავარსარდალი ჰექტორი თავის მამაცის მხედრობით ელვის სისწრაფით მტრისაკენ გაეშურა და იერიში მიიტანა ელლინთა მხედრობაზედ. კვლავ განახლდა სამკვდრო სასიცოცხლო ომი. ელლინთა მხედრობა დამარცხებული უკუიქცა და ხომალდებს შეაფარა თავი. ტროადელები კვალდაკვალ მისდევდნენ მტერს და ცეცხლის ალი დაატრიალეს თვით ხომალდებზედაც.

ა. მიქაბერიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შარადა

პირველი ორი მარცვალი
საგნის თვისებას გვიჩვენებს,
თუ წყალი, ან და ჰაერი
ჩვენზედ გავლენას იქონებს;

თუ რომ ჩამოცხა, ან დაგვთბა,
მაგ თვისებისა ბრალია.
მგონი მიმიხვდეს ის, ვინცა
მოფიქრებაში მალია.

მესამე მარცვალს არ უნდა
ძებნა მეტისა—მეტზედა:
ძალლს აჯავრებენ ბავშვები,
დიდი მიუსევს მტერზედა.

მთელი იქნება ქალაქი,
ქალაქად წოდებულია,
მტრისაგან ბევრჯელ ნაოხრი,
მთლად საქართველოს გულია.

ვ. ქ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებუსი

(წარმოღგენილი ანდ. ბაქრაძის-მიერ)

„ ᲝᲕ (თმის საღებავი), „

,

, „1 „ ,100



„

3„

, ᲗᲘ

, ,

,

, ᲝᲕ (თმის საღებავი),

, ქ ს

მე-10 №-ში მოთავსებულ შარადის ალსნა:

ძმა კარგი და რიგიანი დისთვის არის საქებარი.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.** გამომც. **თ. პ. ი. თუმანიშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაკადულის რედაქციაში და წ.-კ. საზ.

მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

ზღაპრები, ვილჰემ და იაკობ გრიმისა, ნაკადულის რედაქციის გამოცემა, ფასი . . 30 კ.

ტომის თავგადასავალი, თხზულება, მარკ-ტვენისა, გამოცემა ნაკადულის რედაქციისა, ფასი . . . . . 50 კ.

რას გვიამბობს ოთახი. თხზულება ავენარიუსისა, გამოცემა ნაკადულის რედაქციისა, ფასი . . . . . 20 კ.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნაკადული

წელიწადი VII

წელიწადი VII

გამოვა 1911 წელს იმავ პროგრამმით.

ფასი ფლიურად:

მოზრდილთათვის **12** წიგნი 3 მანეთი))((მცირე წლოვანთათვის **24** წიგნი 3 მან.
ორივეზე ერთად მოზრდილთა და მცირე წლოვანთათვის 36 წიგნისა 5 მანეთი.
ნახევარის წლით ვინც გამოიწერს ორივეს ერთად—3 მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება: „ნაკადული“-ს რედაქციაში გოლოვინის პრ. № 3 და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩ.